

1. 202 1940 29/11

ԱՅՅՅՆ ՕՂՈՒԹՅՈՒՆ

ԼԻԲՐԱՐԻ - ՅԻՋՈՒՄԲՈ
23 56

12

ՅՅՈՒՄՆԻ

1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენნი თარგა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოფილივიური თარგანი

884
12 788

12



სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1989 წელი დეკემბერი

ზინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

	83
საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი	3
ალიო მაშაშვილი — დაბადება	14
ირაკლი აბაშიძე — წულუკიძის სიკვდილი	16
ალექსანდრე გომიაშვილი — ბაზალეთის ტბა	22
გრიგოლ აბაშიძე — ფუძემდებელი	24
იოსებ ნონეშვილი — ღამე მეთევზესთან	26
შალვა ამისულაშვილი — სამარყანდული ხალი- ჩა გორში	28
ილია ხოშტარია — ქალაქი გორი	30
სიმღერა სტალინზე — ხალხური ლექსი, ჩაწე- რილი ი. მჭედლიშვილის მიერ	32
შალვა კაშმაძე — ვაჟაური სიმღერა სტალინზე	34
ლადო ბალიაური — პირველი შეხვედრა	35


კრიტიკა

იაკობ ბალახაშვილი — გორის წარსულიდან	52
გ. ბუნეიკაშვილი — ქალაქ გორის ისტორია	58

პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობის ამსრულებელი **დიმიტრი ბენაშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი **ნიკოლოზ აბიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 14/XII — 39 წ. ხელმოწერილია 5/1 — 40 წ. ქალღმადის ზომა 72×105.
ჟურნ. ზომა 7½ × 11. ფორმ. რაოდ. 4. შეკვეთის № 2857. მთავლიტის რწმუნებუ-
ლის № 2108. ტირაჟი 3500.

სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატის სტამბა, უორცისის ქ. № 5.





ქხაპკრული ღიბქრატუხა

საქართველოს საბჭოთა მნაკლავის მიმართვა ამხანაგ სვალინისადმი

არის პატარა ქალაქი, თავისი კიდე-უბნითა,
ვარდის, ვაშლების ბაღნარით ამოვსებული უბითა,
განთქმული ხალხის სიმაგრით და გორისციხის შუბლითა,
მუდამდღე მზე რომ დარაჯობს ხელში სხივების შუბითა.

აქ დილის ცისკარს ამოჰყვა მახარობელი დედისა,
მზის საბუღარში ნაშობი ქორ-შევარდენი ქედისა,
ბავშვს აეხილა თვალები, მსგავსად ნათელი ბედისა,
არწია ქართლის დედამა აკვანი ბაზალეთისა.

აქ იზრდებოდი, იწყებდი აკვიდან აღმაფრენასა,
ღიმილს გაფრქვევდა მშობელი, გრძნობდა შეგებს და ღხენასა:
იზარდე, ჩემო ვაჟკაცო, ქვეყანა ითხოვს შევლასა,
„თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა“.

გარედან, გორისციხიდან თითქოს გეძახდა ქარია:
ამოდი, ჩემთან იმღერე, დავკრათ მომავლის ზარია,
ამღერდი, ააქიკვიკე წკრიალა ხმების ქნარია,
გახსენი, როგორც ცისკარი, პატარა ქოხის კარია.

აქ ჩასწვდი „დედა-ენასა“, ანბანი ამოიცანი,
დედამ პირველმა გაუჩხნა წადილი სწავლის გზისანი,
შეაღე სკოლის კარები, როგორც ღიადი შიზანი,
შიგ შენათე მგზნებარე თვალები შევარდნისანი.

მაშინ მზე აკლდა ქვეყანას, ბნელოდა შინ და გარეო,
ადრე აღმართე ჭბუტკმა კალამი მოელვარეო:
„აყვავდი ტურფა ქვეყანავ, იღხინე, ივერთ მხარეო
და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო“.

შემდეგ ბრძოლები, ომები... გმირის ხმა არ ჩახშობილა,
რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი გადაშრობილა,
მტერზე აწვდილი მახვილი ქარქაშში არ ჩასობილა,
გორისციხიდან კრემლამდი გზა ცისარტყელად შობილა.

დღეს საბჭოეთის ქვეყნები, მზით გავსებული ვუღითა,
ერთად, ერთსხივად შემკული გრძნობების თაიგულითა,
შენი სიცოცხლის სამოცწელს ხედებიან სიხარულითა,
ურიცხვ მადლობას გითვლიან სიმღერით, სიყვარულითა.

მათ შორის ჩვენც ვართ, ელვარებს ჩვენი მზისფერი ალაში,
ერთმანეთს გადაჭდობილან ჩაქუჩ-ნამგალი-კალამი,
ყელი სამღერლად ქცეულა, ვით სალამურის წალამი,
მიიღე საქართველოდან ჩვენი გულთბილი სალამი.

შენი სიცოცხლის ეს წლები და მისი წუთი ყოველი,
მშრომელი ხალხის ბრძოლასთან შეზრდილი, განუყოფელი,
მუდამ გმირული წინსვლაა, მუდამ ბრძოლისკენ მხმობელი,
სომართლის გამარჯვებაა, სიბნელის დამამხოველი.

ეს არის წლები ხანგრძლივი ციმბირის, ცივი გზების,
გადასახლების, განდევნის ფოლადისებურ ნებისა,
მშრომელთა გამოფხიზლების, დამონებულთა შვეებისა,
ეს არის წლები დიადი ბრძოლის და გამარჯვებისა.

ეს არის წლები, რომელმაც ხალხს აუხილა თვალები,
მოჰფინა ცას და ქვეყანას მზისფერ დროშების ალები,
დევემირულ ამირანივით დალეწა ჯაჭვი წვლების
და დაუბრუნა ქვეყანას კვლავ სასიცოცხლო ძალები.

ეს არის ხალხთა სამშობლო ლაშქარ-მრავალი, კლდიანი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, თოვლით მოვერცხლილ-შთიანი,
უსაზღვრო, უხვი, უძლევი, მკლავმავარ დროშის — ფრთიანი,
ხალხი პურადი, გულადი, ბრძენი და დოვლათიანი.

ლენინთან ერთად გასჭედე გულმტკიცე, ხმა-ცეცხლოვანი,
ბოლშევიკების პარტია გმირული, სახელოვანი,
რომ გაგეფნტათ ბნელეთი, — მუქთახორების ხროვანი,
ხალხში მზედ ამოსულიყო ქვეყნის დარდი და გლოვანი.

ლენინთან ერთად ეკვეთე მტერს ამოღებულ ხმალივით,
ბნელში გარბოდნენ მტარვალნი ნასეტყვარ-ნარისხვალივით,
და თქვენი აზრი გავრცელდა ოქტომბრის ქარში ალივით,
და თქვენი დროშა მოედო ქვეყანას ქარიშხალივით.

დაემხო იგი სამყარო მუდამ სისხლისა მდომელი,
აზრების, თავისუფლების დამხრჩობი, დაუნდობელი,
აღსდგა ახალი ქვეყანა, მსგავსი სად არის რომელი,
ჰაერით, ზღვით და ხმელეთით მტრისთვის ხელ-მიუწვდომელი.

შენი ცხოვრების ვრცელი გზა, კიდით-კიდემდე ქებული,
ქართველი ხალხის გზაც არის ბრძოლებით გამაგრებული,
შენი პირველი ნაბიჯი, ვით ვარსკვლავების კრებულნი,
ქართლის მიწაზე ატყვია მარადის გაწუქებული.

მაღლებში, მინდვრად, ქარხნებში შენს მზეს ფიცულობს მშრომელი,
შენ მოგვაშორე სიამე და ღამე სულის მშობელი,
ვამაყობთ: ჩვენს სამშობლო შენი დედაა, მშობელი,
რომ „იავ-ნანას“ გიმღერდა მტკვარი წყალდაუშრობელი.

გათენდა... ღამის წყვიადის აწ დაბრუნება ძნელია,
ყოველი წელი ახალი — ეს გამარჯვების წელია,
„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია“.

ვინც იცის ჩვენი წარსული, — ბრძოლაა შეუწყვეტელი.
რაც ქართლზედ იწუნენ ღამენი — ვინ იყო მისი მკერეტელი.
ჩვენი ხვადის და ბარაქის ვინ არ ყოფილა მხვეტელი.
ევროპის კართან ვწყდებოდით, ვიყავით მისი კედელი...

არ ახსოვთ ჩვენი ნაბრძოლი, არც ჩაუგდიათ იოტათ,
არასდროს მოგვემელებიან, როცა გვშიოდა, გვეცოდა,
მტკვრის და რიონის მაგიერ სისხლის მდინარე დიოდა,
ალი და ცეცხლი წარღვნისა ჭერისთავს გადაგვდიოდა.

მტერი, რა მტერი, რამდენი, — ზღვას ვინ დაუდოს საზღვარი.
ჩვენსავით არვის რეგავდა ქარ-ფიცხელი და წყალღვარი.
ჩვენი სამშობლოს ველები, მდელი, მინდორი, ბაღნარი. —
ნათურქალია, ნარბევი, ნათქერი, ნაყიფხლარი.

მტერს ჩვენი მიწა მიჰქონდა ჩვენი მკვლელობის ხელფასად
რამდენჯერ გულის სიმწარით, მოგსთქვამდით ჩვენს აკლებასა:
„ცეცხლისა და წყალს-შუა ვართ, — ორისავე ვართ ნებასა,
ცეცხლი გვიპირებს დაწვასა, წყალი თან ჩაყოლებასა.“

მაგრამ არ დაგვიკენესია, თუმცა ვიყავით თელილი,
ბევრჯერ აღგვიღნი მიწიდან, ცხრამთის იქითაც დევნილი:
ტყეში, ღრეში და კლდის ეზში შემთხვევით გადარჩენილი:
„ვეფხვი ვინა სთქვა მტირალი, ფვალზე ცრემლჩამოდენილი“.

მშობელმა ხალხმა არ შექმნა ლეგენდა ამირანისა?
დიდებული და უკვდავი, მოთხრობა დიდ მოწამისა,
მასში სთქვა ტანჯვა თავისი, წამება მრავალჟამისა,
ისიც სთქვა, რომ ამ წამებამ მისი მზე ვერღა დანისლა.

რწმენით უმზერდა მომავალს, დახუნდებული, ვნებული,
კავკასის მთაზე მიჯაჭვეულ ვაჟკაცის შთაგონებული,
ის არა ერთხელ ყოფილა მკლავით და აზრით ქებული
დამშვენებული ძეგლებით, მარმარით ამოგებული.

აჰხედე მაღალ მწვერვალებს, არც კი ჩანს ნაბილიკარი,
ჩუქურთმიანი ნაშთები, ციხე-კოშკები იქ არი.
ქვის არშიები გვაკვირვებს, ვაზიდან გათლილი კარი,
ვეფხვი მტევნებში, ფასკუნჯი, ნუკრდახატული ფიქალა.

აჰფურცლზე ხელნაწერები — თავსამკაულად მეტრედები,
ასომთავრული შემკული ბრწყინვალე კამარედებით.
ნაწრთობი ხმალი, ზარნიში, ვარაყი, ოქრომკედლები...
ნახე წარსულის ძეგლები და მათი ქვაკუთხედები...

რამდენი გვეყვანდა ოსტატი, აზრის — ლოდებზე მყნობელი.
მოქანდაკე და მკედელი, მხატვარი, ოქრომდნობელი,
ჯადო მარჯვენა ჰქონიათ, ბედი კი — დაუნდობელი,
ჰქმნიდნენ, გვარსაც კი არ სწერდენ — გულში ცეცხლჩაუქრობელი.

მათი საფლავნიც არ ვიცით, — ნეშტი და ძვალჩასალავი
სად არის შოთას სამარე, გურამიშვილის ალაგი?
ვინ დაიჭირა ბესიკი, საბა-სულხანის ამაგი?
გასტყორცნა ბნელმა ცხოვრებამ, ანატრა მტკვარი, არაგვი.

ვინ დასთვლის ჩვენსა გმირებსა და მათ გამოძრდელ მშობელსა,
დიდ სააკაძე ვიორგის, მტრის ურდოს დამადნობელსა.
ან შალვა ახალციხელსა, ზეზვას — მტრის სისხლით მთრობელსა,
სამას არაგველს — კრწანისში მკერდზე სისხლ შეუშრობელსა.

უმაღურობით სავსეა მათი ნაღვაწის რვეული,
მოწამებრივი ცხოვრება. მათ წილად იყო ჩვეული,
გახსოვს, მრავლისა შესმული შხამი — ძიმწარე რეული,
გინდ ხმალი სააკაძისა, მიწაში გადამსხვრეული.

ჰსურდა მტერს ხალხის სიკვდილი მუხანათსა და ორპირსა,
ის არ იცოდა, — გულდაჭრილს მხრებში ფრთა ჰქონდა ორბისა.
მან შექმნა შოთას ოცნება — წიგნი ვაჟკაცურ ძმობისა.
წიგნი მზის, თავისუფლების, მარადი მეგობრობისა.

მებრძოლი სული ხალხისა რჩებოდა უბერებელი,
სწყუროდა მარად ნათელი, მზის ელვარებთს ელფერიით,
მუდამ იბრძოდა მზისათვის, როგორც მზის ვაჟკაცს შეჰფერის,
თავისუფლების მებრძოლი — რკინაჲ აულებელი.

ვერც მთებს მოშორდა ნისლეები, ვერც საქართველოს მტერია,
მოსისხლე მტრებში პირველი — რუსის ხელმწიფე ერია.
ვერ მოვითმინეთ, ავარდა ამბოხებათა მტვერია,
პირანთებული მრავალი ბრძოლაში გადაერია.

არ დავთმეთ თავისუფლება, მისი უკვდავი გენია,
წინ სიკვდილს მივგებებოვართ, რა ცეცხლი მოგვითმენია.
რამდენი კაკო, არსენა ამ ბრძოლას დაუწვევია.
რამდენი ოხვრა ციმბირის ნამქერებს მოუსმენია.

შენ ჯერ ჭაბუკი მგზნებარე, ოცნებით ნაფერმკრთალები,
იყავ კავკასის ბელადი, მესაქე მისი ძალების,
შენ გააღვიე მის გულში პირველი ნაპერწკალები,
და მერე ხანძრად აქციე ცხრაას ხუთი წლის ალები.

მერე შავი რეაქცია ლამესავით ქვეყნად დაწვა;
დღე ჩააქრო და მზის ნაცვლად სახრჩობელა ტახტზე დასვა.
ვინ ლა იყო, ვის ახსოვდა მუშისა და გლეხის დაცვა,
სოფლები და ქოხმანები უღმობელმა ცეცხლმა დაწვა.

განა ერთი ჩვენი მოძმე ჯალათებმა შეიწირეს,
კლექით მოჰკლეს წულუკიძე, რადგან ჩასწვდა ხალხის ძირებს,
მოჰკლეს ლადო კეცხოველი, ტყვიით გული გაუგმირეს,
მაგრამ მტერი რას დალეგდა შენს გამოზრდილ ქვეყნის გმირებს.

იდექ როგორც ჩირაღდანი, როგორც სვეტი ნათლის მფენი,
მშრომელ ხალხის წმინდა დროშა იყო გზა და საქმე შენი.
შენ შეაღე ყველა კარი, შენ გასწიე ყველა ბქენი
და უთხარი იმ თავითვე, ხალხს აზრი და სიტყვა ბრძენი.

შორს იყო, მაგრამ გათბობდა დიდი ლენინის გენია,
მთის არწივს გაჰყევ მხარდამხარ, წამიც არ დაგისვენია,
ორი მზე ერთად აენთო — ქვეყნად სინათლის მფენია,
ორივემ ერთად შეაშრეთ, რაც ხალხს ცრემლები სდენია.

დიდი ოქტომბრის მედროშე — ლენინი ქვეყნის ბელადი
გხედავდა მასთან რომ იდექ და ფოლადივით ელაყდო,
თქვენ დაიხსენით მონები, ბორკილ-გაყრილნი ყელამდი,
კავკასიონის ქედიდან ჩრდილო ზღვის მისასვლელამდი.

მაგრამ ამ დროს საქართველოს ისევ სცემდა ავი ქარი,
ცაში ხანძრის კვამლი იდგა და მზის ნაცვლად ენთო კვარი.
ოქტომბერმა შენწვეიკებს უცებ დასცა შიშის ზარი
და დიდ რუს ხალხს გამოგვითიშეს, ჩაგვიღობეს რკინის კარი.

სამ წელიწადს საქართველო სამარცხვინოდ სჭრეს და ჰყიდეს,
კენესა იდგა ყოველ ქოხში, ცრემლი რწყავდა კიდით-კიდეს,
კავკასიის მოძმე ხალხი მათ ერთმანეთს გადაჰყიდეს.
სისხლი სურდათ და სისხლითვე მიაღწიეს სურვილს კიდევ.

სტიროდა ვერხვი შავი ზღვის, ვაზი ალაზნის ველისა,
სტიროდა მწყემსის ჩონგური და სალამური ლელისა,
მუშის მარჯვენაც სტიროდა და გუთნის-დედის ხელიცა,
ქაჯებს ტყვედ ჰყავდათ ლამაზი სამშობლო რუსთაველისა.

მაგრამ ის ცეცხლის ნათესი — შენ რომ დასტოვე დეიოდა,
ჩრდილოეთიდან ისმოდა — იქ რომ არწივი ჰყიოდა.
კრემლის ვარსკვლავის სხივები გორის ცხებზე ცვიოდა
და ქართლის გულში გამთბარი მზესავით ამოდიოდა.

დაიძრა ხალხი მშრომელი, მტკიცე და თავგანწირული,
ბოლშევიკების პარტიამ სული ჩაუდგა გმირული, —
გაუძღვა, როგორც მახვილი ბასრი და პირ-დაპირული
და მოსპო ძალმომრეობა, ცრემლებით ამოკიჩრული.

სტალინ, შენ იყავ მაშინაც ჩვენი დროშა და მახვილი,
შორს იყავ, მაგრამ გვესმოდა ბრძოლაში შენი ძახილი,
ველზე კედებოდა ვაჟკაცი — მარჯვენა დაუძრახელი
და სიკვდილის წინ გულიდან ჰხდებოდა შენი სახელი.

შენ ისევ მოძმე რუს ხალხთან შეგვეკარი ძმური პირობით,
ხალხი — ლენინის მშობელი სახელგანთქმული გმირობით
ჩვენთან მოვიდა საშველად, ვაჟკაცურ პირდაპირობით,
და ერთად ვიწყეთ ცხოვრება — უწინ თუ ერთად ვსტიროდით.

დღეს გავცქერით იმ შავ წარსულს და ჩვენს მიწას ცეცხლით
ნათელს,

ხალხის გული სწყევლის, ჰკრულავს ჩვენს მტრებსა და მუხანათებს,
სწყევლის, რადგან თუნდ მცირეხნით აგვაცილეს შენს გზას ნათელს,
სიყრმიდანვე შენგან ნაფიქრს და ღამეებს შენგან ნათევს.

დღეს, მებაღევ, ჩვენი ქვეყნის, გაიხარა შენმა ბაღმა,
შავი ღამე დარჩა მხოლოდ საბჭოეთის საზღვრებს გაღმა,
თუ რამ ჰქონდათ სასიცოცხლო, ჩამოსტკნა და ისიც გახმა,
ველარავინ დააბრუნოს მათი ჩარხი ისევ წაღმა.

იქ ვის ახსოვს ხელოვანი, ვინ აფასებს ნამდვილ მწერალს,
შეცნიერი ქუჩაში ზის და ყინვაში ძველმანს კერავს,
შომღერალი ძალით მღერის, ცრემლით ავსებს მშვიერ კერას,
ან თავს აკლავს — რომ უარესს გადაურჩეს ბედის წერას.

ასე იყო ჩვენშიც წინათ, როცა ტახტი ედგა ჯალათს,
ნათელ აზრს და მოკვდავ სიტყვას ხალხის გულში ჰკლავდნენ ძალად,
მათ უნდოდათ ქვეყანაზე სიძარტლის ხმა წაეშალათ.
და ჩაეხშოთ, რომ ხალხშივე არ გაედგა ძირი კვალად.

მათ მოჰკლეს დიდი პუშკინი, — დღე უკუნეთზე გასცვალეს,
სანამ სიცოცხლობდა, იბრძოდა ათასნაირად აწვალეს.
ტყვია ესროლეს ლერმონტოვს, სიცოცხლე აღარ აცვალეს,
დაობლებულს და მწუხარეს ხალხს გული ამოაცალეს.

მეზნებარე ტარას შევჩენკოც — ფარხმალი უკრაინისა —
სტეხეს და ბოლოს იმსხვერპლეს, თუმც გული ჰქონდა რკინისა.
აქ ჩვენ მოგვიკლეს ილია, ჩვენი გულიც და ტვინიცა,
ნადიმს იხდიდნენ ყოჩნები, დრო დასდგომოდათ ლხინისა.

ვაჟა სიმშილმა მოგვეტაცა, ველარ გაუძლო სხეულმა,
ყაზბეგი ბედმა, შავბედმა დასცა და დაასნეულა,
კიდევ რამდენი წაგვართვეს, კიდევ რამდენი ძლეულა,
მათი გმირობა სახალხო თქმულებად გადაქცეულა.

ვინ ჩამოსთვლის მათ სახელებს, ვინც ქვეყანა ასახელეს,
ლოდაშვილს და ჩერნიშევსკის უბოჭავდნენ რკინით ხელებს.
ვინ ემსხვერპლა ცოჩეს, ციმბირს, ვინ დააკვდა ძვლებით ველებს, —
მათ დიდება დარჩათ ხალხში და ზიზღი კი მხოლოდ მკვლელებს.

სტალინ, შენ და დიად ლენინს მტრებმა რა არ დაგიპირეს,
თქვენ სამუხთლოდ დანა ლესეს და მახვილიც ბევრჯერ კპირეს,
ბევრი მხდალი და სულმოკლე მოლაღატედ გადმირეს,
მაგრამ ხალხი კედლად უდგა თავის დიდს და უკვდავ გმირებს.

მწარე იყო ჩვენი ხვედრი და დუხჭირი იყო თანაც,
გვიგინებდნენ დედა-ენას — რუსთაველს ნათეს ყანას,
გულმოკლული დედა აკვანს ვერ ეტყოდა იხვნანას,
დღეს ვიგონებთ მხოლოდ ოხვრით იმ შავ დროს და იმ შავ ხანას.

შენ გვყავდი, დღესაც მიგვიძღვი, მოგყვებით თავმოწონებით,
შენ დაგვიბრუნე სიცოცხლე შენი უკვდავი გონებით,
გზა კი არ არის, ბაღია — გაშლილი ვარდის კონებით,
„მიეცი ნიჭსა გზა ფართო...ანთავისუფლე მონები“.

ჩვენმა ხალხმა საბჭოეთში არწივივით ფრთა გაშალა,
ჭირვარამში გამოვლილმა, აასკეცა თვისი ძალა,
ძველი წყლული მოიშუშა, გულით დარდი გადრყარა,
წამომდგარი გმირთაგმირი, ლად ამირანს დაედარა.

მას წადილი აუსრულდა, მტერი მოსპო დასადაგი,
წელში ახლად გაიმართა, სასიმღერო გახსნა ბაგი,
მიუძღვები უძლეველი, დიდი ბრძენი მოამაგი,
ხალხს შთაბერე ვეფხვის ძალა და კლდესაგით გაამაგე.

შენი სამშობლო აყვავდა, შრომის დროშა აწვდილი,
წამოდგა კაცი მშრომელი ხანდაზმული და ყმაწვილი,
რაც მოგვევლინა ბერია, შენი ფოლადის ნაწილი,
შენი ერთგული მოწაფე და საქართველოს არწივი.

ჩვენ ვაჟკაცი გვყავს მრავალი, მართლა შევარდნის სადარი,
სტახანოველი მედგარი, მკლავი მტკიცე და მაგარი,
სხვა საქართველო ასეთი როდის ყოფილა, სად არი?
სამშობლო აღიდებულა, მტერი მოისპო საზარი.

ალორძინდა საქართველო და შიგ ელავს ძველი გორიც,
გალომკაცდა ჩვენში ხალხი, კავკასიის მთების სწორი,
ღირსეული ადგილი აქვს, მიკუთვნილი ძმათა შორის,
გვერდით უდგას ათი მოძმე, ვაჟკაცი და თანატოლი.

მზე არის და შენი თვალი, რომ ანათებს ქართლის ბაღში,
სხივია და შენი მზერა გადმოღვრილი უკვდავ სახლში;
ხალხი, ხალხი ჟრიამულობს, ფოთლებივით სცვივა ტაში,
სტალინ. სტალინ, ბრძენო მამავ! — მოგძახიან მთა და ბარში.

ინდუსტრიის მხარედ იქცა ჩვენი კუთხე მოსაწონი,
ტყვარჩელი და ქიათურა, ტყიბული და ზესტაფონი.
აბრეშუმის ქარხანა, თუ ქუთაისის ლიტაპონი,
ელექტრონით მოქარგულან საქართველოს მიდამონი.

კახურ ბაღს რომ განშორდები, კოლხეთს ბაღში მიხვალ ისევ,
ნარინჯების წალკოტს ნახავ, ელავს ხელი მოხალისე,
ზღვის ნიაფი აქანავებს დაფნას, ჭადარს და ალვისხეს;
მებაღე სდგას თურინჯებში და ფორთოხალს ახარისხებს.

ბედნიერი კოლმეურნე, ალამაზებს არე-მარეს,
და გუშინდელ ღარიბს ხიბლავს, რომ გამდიდრდა ასე მალე.
ვარდებივით ბავშვები ჰყავს, აჭრიალებს ოდის კარებს,
მტერს და დღეშმანს კოლმეურნე, სამუდამოდ ასამარებს.

თუ რა შექმნა კოლმეურნემ, თუ რა შესძლო მძლე მარჯვენამ —
ჩვენი მინდვრის, ჩვენი სოფლის, აყვავება ხალხს აჩვენა,
დიდ მოსკოვში მრავალფერად გამართულმა გამოფენამ,
და ათასერთ ბაღად იქცა ჩვენი ხალხის აღმაფერენა:

თამბაქო და ჩაის ბუჩქი, ნარინჯები მრავალგვარი,
პურის ყანა, ვენახები, ან ჯეჯილზე ნიაფ-ქარი,
კალმახები აუზებში, მოხატული ქართველის ბარი.
სამაისო საქართველო ათი გმირის მეგობარი.

სუფრებს ამკობს მანდარინა, თვალმა როგორ დაითვალოს,
ფორთოხლის-ხე ალამაზებს კოლმეურნის კარმიდამოს.
დოვლათი და ქართველის მიწა, მშრომელს ერგო სანეტაროდ —
გვინდა დროშა გამარჯვების, ცის კიდემდე გავიტანოთ.

რამის მინდორი გაშლილა, გერანიც სურნელოვანი,
ჩაისმკრეფელი მრავალი, ქალია სახელოვანი.
დავძლიოთ მთები მაღალი, გაუვალი და კლდოვანი,
გახალგაზრდდა ბუნება და გაჭაბუკდა მსცოვანი.

ყოველივე შენ გვიბოძე, შენ ბრძენი ხარ და მებაღე,
ზამთარი და დაბრკოლება შენ მზესავით გადალახე.
ბნელი ღამე გაგვიკაფე, გამარჯვება გადმოგვძახე
და ყოველჯამს გზას გვინათებს ბრძენთაბრძენო, შენი სახე.

მწყემსო შენზე ლერწამს უკრავს, მთიდან უმზერს საუკუნეს,
ხევსური თხზავს შენზე ლექსებს და ახალ გზას გადაყურებს,
კოლხიდელი ნანას მღერის, ბავშვს შენს სახელს დაღუღუნებს,
შენ დიდებას კოშკთან სვანი ენგურივით აგუგუნებს.

კახელის ხმა მთასა სწვდება, მოწკრიალე ყოველდილით,
მღერის ოსი და აფხაზი მაღლა მთაში გამოზრდილი,
გორის ახლო, ქართლის გულში თითქო გალობს ავთანდილი
და მესხეთში მტკვარი მოჰქუხს შოთას ლექსად გავარდნილი.

აჭარელი ზღვას გასცქერის, შენზე შეგალობს ალიონს,
შენ აამაღლე ყოველი დაჩაგრული და მდაბიო,
მოხევენი და ფშაველნი ლექსებს გეტყვიან მკაფიოს.
და კრიმანჭულით გურული შეარხევს ზეცის დაფიონს.

როინს გასძახის იმერი, ტალღამ დაჰყარა აღმასი,
ლენხუმიდან და ჩაჭიდან მთები გიგალობს ლამაზი,
ხალხი გაკაჟდა პურადი, გულხმიერი და მამაცი —
თავდადებულნი ქვეყნისთვის, ვით არაგველი სამასი.

მერე პასუხობს ტფილისი, ისმის მედგარი ძახილი,
ნარიყალა და ისანი წარსულის გამომსახველი,
მტკვარი — ნაპირებზემკული, ბევრ უბედობის მნახველი,
გუგუნებს მთელი ქალაქი: ცოცხლობდეს შენი სახელი.

საქართველოს სიამაყე ტფილისია მტკიცედ მდგარი,
ბევრჯერ მტრისგან შელეწილა მისი ციხე-გალავანი,
მაგრამ იგი მძლეც ყოფილა, ბევრ ურდოსთან ნაომარო,
დღეს ბერიას მარჯვენისგან გარდაქმნილა სანუკვარი.

ბაღებით და წალკოტებით ანთებულა მთადაბარი
ბოლნისის ქვით, ჩუქურთმებით, — შენონებები მრავალგვარი,
მოკირწყლული ნაპირებით მოელვარებს ჩვენი მტკვარი,
და ყველაფრის შემომქმედი შენი ბრძენი ხელი არი.

ქართველის კულტურა ძველია, ძველთაგან გამოწრთობილი,
დახშული იყო მრავალქამს, კარჩაკეტილი ობოლი,
შენა ხარ მისი დამხსნელი, რუსთველის გამომხმობელი
გმირულმა ხალხმა გიწოდა ქვეყნისმხსნელი და მშობელი.

შემოქმედს ახლა სად ახსოვს, ძველი წყლული და იარა,
შენი ამაგით გაცოცხლდა, ხალხს ემსახურა მთლიანად.
გახდა ცხოვრების მჭედელი, სიამე გაიზიარა,
თავისი გული სპეტაკი სპექვეყნოდ აახმიანა.

ოცდაათ ათასს აჭარბებს მასწავლებელი სოფლისა,
არის რვაასი ათასი მოწაფე, თვალი მშობლისა,
მეცნიერი და სტუდენტი საბჭოთა დიდი სკოლისა,
რა არმიაა დიადი! სიხალისეა შრომისა!

ბევრი სიმაღლე ავიდეთ, ბევრი ლამაზი მწვერვალი,
არის საბჭოთა მგოსანი „მუდამ მხნე, მუდამ მღერალი“
რევოლუციის პოეტებს — საღი და წინ მაცქერალი
შემოუერთდა მრავალი ძველი ოსტატი მწერალი.

აყვავდა ჩვენი მწერლობა ხალხის ნებით და ძალებით,
წამოდგა შოთაც, ილიაც ათასჯერ განაწამებო.
მრავალ ენაზე ითარგმნა ქართული სიტყვის მამები,
მრავალ ენაზე მღერიან წიგნები ნათარგმანები.

ბევრი ახალი რომანი, ბევრი მოთხრობა ქართული,
ბევრი ფერადი სურათი, ჩუქურთმა გამოკვართული
გავიდა ხალხში, გავრცელდა, როგორც ამბავი ხალხური, —
ჩვენი ცხოვრება იმღეროს, ჩვენი მგზნებარე წარსული!

ხალხშია სწავლა გასული დიდი სიმაართლის მოხრობელი;
კინოთეატრით, კლუბებით გამდიდრდა ჩვენი სოფელი.
ქვეყნის შორეულ ყურესაც მზე დასცქერს მანათობელი.
რა დიადია, ნათელი, ხარობდეს მისი მშობელი!

სამშობლო ქვეყნის სიყვარულს დედა გვეტყოდა გოდებით,
შენმა პარტიამ ქვეყანას აპყარა მძიმე ლოდები.
უძლეველია სამშობლო, გაშლილა მისი ტოტები.
ვუმღერით ქვეყნის სიმაგრეს, საბჭოთა პატრიოტები.

მშრომელი ხალხის ხელში ვართ გაზრდილი, დაბადებული,
მშრომელი ხალხის საქმისთვის გმირულად თავდადებული,
ნაცადი ძველი თაობაც თანამებრძოლად გვეგულვის,
კარგი ჩვენია ახალი, ძველიც ჩვენია ქებული!

როგორ გვზრდის ჩვენი ქვეყანა, როგორ გვაფასებს პარტია,
ხალხის გული და ალერსი მზის ნათელივით გვარტყია.
ჩვენს საქმეს შენი თვალყური, ხელი მზრუნველი ატყვია,
რა ასპარეზი მოგვეცა, დიდა შენი ქარტია!

საბჭოეთის ორდენები დიდებული ოქროს ძღვენი
დაგვმშვენდა და აღისფერად ანთებულა მკერდი ჩვენი.
ზოგს ნამგალი ახატია, ზოგს უნთია მკერდზე ლენინ.
ასე ფასობს მეცნიერი, ხელოვნების მოღვაწენი.

ვინაც ხალხის მსახურია, ვინაც ღონეს ხალხს მოახმარს,
ჯინც ესწრაფვის შთაგონების ხალხის გულში გამონახვას,
ის დაფასდა, მისი ჩარხი დატრიალდა უკვე წაღმა,
ის უმალღეს საბჭოებში აირჩია თვითონ ხალხმა.

მუშაობენ საბჭოებში და ქვეყანას ამაგრებენ,
სახელმწიფოს მსახურებენ, ხალხის ნდობას ანაღლებენ,
ქვეყნის გულში ტრიალებენ, თავის გულსაც ამალლებენ.
მუშასთან და გლეხთან ერთად ჩვენს ქვეყანას განაგებენ.

გულით დაგვაქვს სიმღერები ბედნიერი მშრომელ მხარის,
ფხიზლად ვართ შეუდრეკელ გუშაგების რიგში მდგარი.
და თუ მტერი დაიძრება ბოროტი და ღამისდარი,
ნახონ როგორ ტყვიამფრქვევად შეიცვლება კალმისტარი.

რა უკუნეთი გავლიეთ, მას აწი აღარ გამოვცდით,
შენ იხსენ ჩვენი ქვეყანა, ერებში აღარ გამოვწყდით,
ქალაქი აღიმართება, სადაც მარჯვენას გამოვწვდი,
მოგვილოცნია, ბელადო დიადი წელი სამოცი.

განა სამოცი წლისა ხარ, შერზდილო ხალხის გულებთან.
შენ ათასწლის ოცნებავ, იმედო საუკუნეთა,
შენზე დაიწყეს ღიღინი უხსოვარ დროის ხნულებთან,
ხალხი იმ დღიდან გელოდა, შენს სახელს აგუგუნებდა.

შენს ნაამაგარს ზედავენ თვალის პირველი გახელით,
ჩვენი საბჭოთა ეპოქა შენდება შენი სახელით;
იმედით შემოგცქერიან ყრმათა ბრწყინვალე სახენი,
შენა ხარ ჩვენი გამირობის და ძლევის გამომსახველი.

შენ, როგორც დროშა უძლოდი ხასანის ტბასთან არმიას
და ჯარმაც სამურაების ბრბოები მიმოარბია.
სამშობლოს საზღვარს დასაცავს, — მთადამდინარე არ ჰქვია,
იქ ჩვენი სისხლი მღელვარებს, ჩვენი ხორცი და ძარღვია.

შენმა სინათლემ ახაროს, თუ ვინმე ბნელით ჩაგრულა,
ბელორუსიის მიწიდან პანები მიმოკარგულან.
უკრაინელის გულმკერდზე შენი ხმა ამოქარგულა —
ორი ძმა იყო, ორთავეს თავისუფლება არგუნა...

ხალხს ბედნიერი ცხოვრებით ბეჭები გაუმართია. —
შენი სახელი დიადი ჩაგრულთა განთიადია —
და გამარჯვების იმედად ფინელთა გულშიც ანთია,
რომ ბრძოლით გაანადგურონ ვინც მათში მუხანათია.

ჩვენი სიმღერა, ბელადო, ერთა სურვილის მთქმელია —
რომელთაც ჩაუქრობელი სტალინის შუქი ჰფენია. —
აყვავებულა სამშობლო, მინდორველს მოუღებენია,
კლდეებზე გამომქუხარი მდინარეებიც მღერიან:

დღეგრძელი იყოს, იხაროს — ხალხი ვინც გააჩაღისა,
თერთმეტი ქვეყნის გულისთქმა და ელვა მათი ხმალისა.
ბნელს ანათებდეს შორეულს სხივი ბელადის თვალისა —
ის ერთადერთი იმედი მსოფლიოს მომავალისა!...

საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი ლექსად გამო-
თქვეს პოეტებმა:

**ალიო გაზაზვილმა, გიორგი ლეონიძემ, ილო ოსაზვილმა,
ნიმონ ჩიქოვანმა, ირაკლი აბაშიძემ, კარლო კალაძემ.**

ღ ა ბ ა დ ე ბ ე

ზამთარია, თოვს და ცივა, გარეთ ველარ გაიხედავ,
სანთლის მკრთალი შუქნათელი ეფინება ქოხს იმედად,
ჩიხტიკოაში მოწყობილნი დედოფლები უხმად სხედან
და წევს იქვე სარეცელზე მშობიარე ქართლის დედა!

შეპყურებენ ბებია-ქალს, ოთახში რომ დადის ცერად,
ლანდისფერი ორეული დასდევს, როგორც ბედის წერა,
საოცრებას შეუპყრია გარანდებულ თვალთა ცქერა,
მსგავსად ნაზი ჩონგურების, ისმის ქალთა გულის ძგერა!

ფანჯარაში იხედება ღამე ცივი და ფერმკრთალი,
მის ბიბლიურ ნალარაზე ცვივა თოვლის ნაფერთალო,
კერა მაინც არ ჩამქრალა, ნაღვლით ნამწვარ-ნაღვენთალი,
ქოხის გულში დაფარული ღვივის ცეცხლის ნაღვერდალი!

გარეთ ისმის ნიავის ზმით თოვლში როგორ სწუხს მთა-ველი,
გორისციხით გამოქცეულ ისმის ქარის სუნთქვა ნელი,
კუთხეში წევს მშობიარე, სწუხს, უმწარებს გულს ნაღველი,
თავს დაპყურებს ბრძენი სახით შვიდასი წლის რუსთაველი.

შუალამე გადავიდა, არემარეს იპყრობს ძილი,
ბაღში აღარ შრიალეებენ ხენი ფოთლებ შემოცლილი,
მხოლოდ მტკვარი და ლიხვი ჰქუხან ტალღებ შემოხსნილი,
მზის ბუდეს ჰგავს ძველი ქოხი, თოვლით, შუქით შემოსილი!

ოთახში ზის სახლის ბურჯი, სახე — ჯმუხა და ჯანმრთელი,
მაგიდაზე დაყრდნობილი გმინავს გულმკერდ განათელი,
დაღვრემილა და თვალეებში არ უღიმის კაცს ნათელი,
საგალალო რამ ყოფილა დედაკაცის განსაცდელი!

კაცი ასე მგძნობიარედ ვერ იღარდებს, ვერ იწამებს,
თან სიავით გულში უმძიმს, თან სიამით ელის წამებს,
ჯერ თვალი არ მოუხუქავს, უძილოა მთელი ღამე,
გვერდით უდგას „ატენური“, სანთელივით მოკამკამე!

უცებ: კარი, ვით ცისკარი, შეირხა და... შექმნეს ლელვა,
ქარმაც „ვაჟის“ მახარობლად თითქოს რაში მოაგელვა,
ბავშვის კენესა შემოესმა, ვერ დაფარა სარეცელმა,
ვარეთ თოფის ხმა გავარდა. ბნელს დაეცა, როგორც ელვა!

და წამოდგა მავშინ მამა, სთქვა: მეც კაცი მქვიან სოვლად,
მეც კაცურად ქუდი მხურავს ხალხში, სახლში და მეზობლად,
მეც ვწერივარ ქვეყანაში, არ მიგულვოთ აწი ობლად,
დღეს მერცხალმა შემოსწყვილა გაზაფხულის მახარობლად!

მან იცოცხლოს! გაიფურჩქნოს მისი ძალა და იერი,
მშობელ დედის რძედ შეერგოს ეს ცხოვრება წამიერი,
ჯულაშვილის გვარს მღეროდეს მთელი იმერ-ამიერი,
მან იცოცხლოს! მუდამ იყოს მისი მრავალ-ჟამიერი!

ყვავ-ყორნებში მომწყვდეული ამირანი ისევ ყვიროს,
მთიდან, ბედის ვარსკვლავებად, ბორკილების ელავს ქვირი,
მან იცოცხლოს! გაიზარდოს, გამოიხსნას გმირმა გმირი
და ქვეყანას მოაშოროს ამ ცხოვრების 'გასაჭირი!

მან იცოცხლოს! გულით, სულით დაფოლადდეს, დაირკინოს,
ჯაჟმრავლდეს მეგობრები, მტერი გაწყდეს, გაიყინოს,
დღეს მე გავხდი ბედნიერი მსურს ვიმღერო და ვილხინო
მან იცოცხლოს! კიდევ სთქვი და... ეშხიანად შესვა ღვინო.

არის ლხინი მხიარული მტკვრის, ლიაზვის ტაშის კვრაში,
ჰქუხს მრისხანე მომავალი ამომავალ ხალხის ხმაში:
რომ ოჯახის მახარობლად შეეძინა დედას ვაჟი,
რომ პატარა გორის ქერქვეშ დაიბადა გარიჟრაჟი!

წულუკიძის სიკვდილი

ამხ. წულუკიძის დასაფლავება, რომელსაც მნა-
ხველთა გადმოცემით 10.000-ზე მეტი კაცი დაეს-
წრო, გადაიქცა პოლიტიკურ დემონსტრაციულ თვით-
მპყრობელობის წინააღმდეგ.

ლ. ჰ. ბერია

თითქოს მწუხარე, გლოვითა და სევდით დაღლილი;
ზაფხულის მზეზე გარინდულან ბარში მინდვრები,
ყველა ფოთოლი დაკვეცილი და თავდახრილი
ველებზე დგანან ჩინარები და სიმინდები.

მიწას მდუმარედ დასდგომია მნათობი სავსე,
ნელი ნიავეც არ აშფოთებს, გულს არ უღვიძებს.
ტრიალ ველებში, იმერეთის ბოლიან გზაზე
თავდადებული მიუძღვება ხალხს წულუკიძე.

ძმებო, აღსრულდა: ვისაც გულში გქონდათ მარადი
შურისძიება და გმირობა ვალად გამხდარი!
ძმებო, აღსრულდა: გადამწყვეტი დადგა საათი!
გმირებს საომრად მიუძღვება ბაიჩრატარი.

ეს იყო მისი მოლოდინი და გატაცება,
ეს იყო მისი სიზარული, წვა და საგანი;
ასე სჭედავდა შურისგების დავაუკაცებას
ერთი მებრძოლი, ერთი გმირი და სამთაგანი.

ასე სჭედავდა, აღვიძებდა ხალხს სამთაგანი,
რომ ბასრი რწმენა და მახვილიც ბასრი მიეცა.
ძმებო, აღსრულდა! მტრის საღეწად მიდის სარდალი.
ძმებო, გმირული აფუგუნეთ მარსელიეზა!

ტრიალ ველებში, იმერეთის ბოლიან გზაზე
მზე ჩინარებში გარინდულა და სხივს უკიდებს,
მაგრამ ეს ხალხიც რას მდუმარეებს, რად გლოვობს ასე?
კუბოს ფიცრებში, თვალჩამქრალი, წევს წულუკიძე.

887
27

ვის დაუნახავს კოლხიდაში, თხმელის ქალებით,
როგორ მიჰყვება რიონს მუხა ძირმოკვეთილი!
როგორ ნელდება ტალღა ზღვასთან, რომ მოკრძალებით
უსასრულობას შეუერთოს მუხა კეთილი.

ჩაჰქრა ნათელი მღელვარება და გატაცება,
შეწყდა წუხილი, სარეცელზე ტანჯვა, წვალება.
განა სოკვილი დარქმევია ყველა დაცემას?
ეს იყო მხოლოდ გარდაცვალება.

გარდაცვალება რჩეულის და გმირის ხვედრია.
შავი სიკვდილი მხდალებისთვის შექმნა ბუნებამ,
გმირი, რჩეული, სხივმოსილი, მხოლოდ ერთია,
რომ ქვეყანაზე უწერია კვლავ დაბრუნება.

განა მზის ჩასვლას დარქმევია სიკვდილი მზისა?
იგი კვლავ მიწას დასტრიალებს და მსახურია.
განა დეკემბრის თოვლში კვდება მშობელი მიწა?
ისევ სიცოცხლით იფეთქებს და გაზაფხულია!

ასე კვდებოდა წულუკიხე, არწივი ბრძენი,
მაგრამ მეტყველი ბაგე ახლაც არ უდუმდება —
რომ ქვეყნად დარჩა მისი წილი სიცოცხლის დღენი
და მას ოდესმე ხელმეორედ დაუბრუნდება.

მიდის ლაშქარი, უჩუმარი, ხმაჩაკირული
(ასე მდუმარებს იმერეთში მხოლოდ სამთარი),
მაგრამ უეცრად აგუგუნდა ჰანგი გმირული
და წინ პირველი შეიმართა დროშა მართალი.

სად, სად გასჭედეს ეს სიმღერა, რომელ კერაში,
რომელ გრიგალებს გამოჰკლიჯეს ზღვის ხმოვანება?
ვინ დაიტირეს, ვინ აღიდეს ამ სიმღერაში,
ვისი რისხვა, ვისი წვა და აღფრთოვანება?

განა სიმღერა აღარ არის გლეხის ტირილი?
განა გათავდა, არ ლილინებს ქართლში ამქარი?
განა სიმღერა არ გაწამებს, როგორც ტკივილი?
ვინ მოგიტანა, იმერეთო, ჰანგი ამგვარი?

დებო, დედებო, თქვენი მოთქმა, თქვენი ვარაში
იქნებ ერთმანეთს შეადუღეს ძმებმა, მამებმა,
ნახეთ, ისმინეთ, განა თქვენი რისხვა არ არი
ეს დაძახილი, ეს გრიგალი, ზღვის ხმოვანება?



მიდის ლაშქარი, მიგუგუნებს ჰანგი გმირული,
მტვერის ფრიალით იგრძობა ცაზე თაღები.
მიდის ლაშქარი, უთვლელი და თავგანწირული,
და სივრცეებში ირხევინ ბაირაღები.

ან ეს დროშები ვინ შეღება, სისხლის წვეთებით,
ვინ წაუკიდა დროშის ტარებს ცეცხლი წითელი?
ვინ შეისროლა მეწამული ცაში სვეტები?
ასე აღისფრად ვინ აანთო ცა აწინდელი?

მგზავრო, კეთილო, ეს ვაჟკაცის გულისპირია,
მისი ანდერძით მისივე ფაცხის წნელზე გაკრული;
მისი საფლავი თვით მშობელსაც არ უტირია,
ცივი ციმბირის ყინულეთში გადაკარგული.

მიფართქალენ იმერეთზე დროშის კალთები,
დიდის მომავლის დასტური და აზრი ნათელი,
როგორც ღრუბლებში ვარსკვლავების გამონათება,
ან, როგორც ფიცვი, თავდადება და ჟრუანტელი.

უცებ შედგება, შექუჩდება ტალღა ამდენი,
უცებ ათასი შედუღდება გულის ძვერანი:
დაშლილ ყორეზე შევარდნილი კორიანტელი —
შურისძიებას ჩაჰკიჟინებს ხალხს ვეტერანი.

შერე ანდერძში ჩაუტოვებს ხვალის თაობას,
რომ წულუკიძის ჩაიგონონ სიტყვა ყოველი;
სქექს ბათომელი შურისგებას, გამბედაობას,
შურისძიებას ჩაჰკიჟინებს ხალხს ბაქოელი.

და ერევენლის დაძახილი, როგორც ქარქვალის,
გაიკრიალებს მედგარი და გულს ჩამგონები:
„მსხვერპლად დაეცი, წმინდა იყო შენი ტანჯვანი,
შენს დაცემაზე აღსდგებიან მილიონები“.

მიდის ლაშქარი, მიგუგუნებს ჯხმო მთა-ველი,
მიდის ჩამქრალი წულუკიძე, ჩემი სარდალი,
რომ სამშობლოში დაიკავოს მიწის მტკაველი
და შერე მოვლოს ყველა მიწა და ბინადარი.

როგორც დედ — რიონს, უერთდება ხალხს შენაკადი,
თითქოს ძახილი, თითქო წუთი დგას ამბოხების,
თითქოს ამოსკდა, რაც ყოფილა ბოღმა აქამდე,
და გზის პირებზე იცლებიან ყველა ქოხები.

გამოდით გზაზე, ძირს დაუშვით, ძმებო, თოხები,
ჩაარქეთ ბარი, მჩაგვრელებზე მიდის ლარიბი,
შორჩა წამება, ბორკილები და ჯოჯოხეთი;
გლეხის ქალებო, შეაჩერეთ თითისტარები.

გამოდით გზაზე, შერყეულა ოდის ბოკონი,
მდიდრის ბირკვილებს უცახცახებს შიშით ხელები,
გამოდით გზაზე, ბატონების გაწყდეს მომგონი,
პატარ-ქალებო, შეაჩერეთ სამუხელები.

სოფლის ბოლოში ჯარისკაცი გამოპარული
ხალხის დიდებას გაჰკიჟინებს და გაღვიძებს.
მუშის ბედისთვის, მაშვრალისთვის დულს სიყვარულით
და უკანასკნელ სისხლის წვეთზე დაეფიცება.

უცებ ღრუბელი, საწვიმარი, ყუმი ღრუბელი
გაჩნდა თალხი და შეიყარა ზეცის კალთებთან.
მერე ჰაერში გამტკიცული, შეუგუბელი,
ელვის ხაზებით გაჩხარა და კვლავ გამთელდა.

ცაში დღიძრა დიდ-ლაშქარი ამგვარ ბუნების,
მეხის გუგლნი გამბედავი და ამბოხური,
შეკრთენ ხეები, უმწონი დაკარგულები,
და ქვენა-ქარი წამოვიდა ძველი კოლხური.

წუთს გაუმარჯოს როცა შრძოლით ბორკილ აყრილი
თვალეებს შეიშრობს გატანჯული კაცი მტირალი;
სოფლის ბოლოში ამოწვდილი, როგორც მახვილი,
როკზე შეიჭრა ჯულაშვილი ნაციმბორალი.

შედგა ლაშქარი,
ეს რიონმა თავი დაიხსნა,
დადგა ვაკეზე, ჩაირბინა ხვამლის ქედები;
შეწყდა გუგუნი და დუმოილში მხოლოდ გაისმა,
როგორ დაეცა ხეს პირველი წვიმის წვეთები.

მერე წვიმაში ჩაიმალა ლურჯი ველები,
თითქოს ჩამოდნა თვით ღრუბელი, ქუშად გაწლილი,
დაწრიალებენ იმერეთის ცაში ელვები
და გამძაფრებულ ბუნებაში ჰქუხს ჯულაშვილი.

თითქოს ბნელი და უსამართლო ქვეყნის წინაშე
კაცს და ბუნებას მრისხანება ერთად ეთმინა,
ქარმა წაართვა გრუხა თმები, მერე წვიმაში
ძძიმედ დაყრილი ნათელ შუბლზე ჩამოეფინა.

კობა დახედავს წულუკიძეს ხელდაკრეფილი,
ორთავ თვალეზი ენთებიან, წყვილად კრთებიან,
თმებზე რიგრიგად მოჰყვებიან წვიმის წაეთები
ლაწვებს ჩარბიან, მერე ყელში ინასკვებიან.

რამ აადულა ეს ბუნება დაუგემელი,
ეს ავდარია თუ მეგრული მოთქმა ქალების?
უცებ ზეცაში გამოკრთება ელვა შიშველი,
უცებ მიწაზე გაელავენ კობას თვალეზი.

ელვა ელვაზე გადასკვნილი, გადაკვეთილი,
ძირს და ჰაერში მეორდება უფრო ჩქარ-ჩქარი;
სხმაში, ზღვაურში ღია ცისქვეშ ხმაგაკმენდილი,
კობას გრიგალებს თავდახრილი ისმენს ლაშქარი:

— გფიცავთ, მებრძოლო, გამოვქედავთ ათას დევ-გმირებს,
გფიცავთ, დავიხსნათ მოძმე, მონა და გათოკილი,
გფიცავთ, მებრძოლო, სიმართლისთვის ყველა დენილებს
რკინის ხელებით შევამტვრიოთ ფეხზე ბორკილი.

დე, ნუ სცდებიან ჯალათები, სისხლის მღვრელები,
განა ვინც კვდება, მქუხარება მათი არ ისმის,
მაგრამ აჩრდილი, უწმინდესი მათი აჩრდილი,
ყურში ჩაგვძახის: — „გაიმარჯვებს სოციალიზმი“.

ხალხო, დიდება მათს აჩრდილებს! მოკვდნენ ისინი,
მათი სხეული, შავი მიწით დაისუღრება,
მაგრამ სახენი, შემკობილნი ეკლის გვირგვინით,
გვიხმობს: — „იბრძოლეთ, გაიმარჯვებს თავისუფლება!“.

ხალხო, დიდება მათს სახეებს! სღუმან ისინი,
მაგრამ მათს ძახილს, მომწოდებელს, ისევ გავიგებთ,
ციხის ნესტისგან ჩახლეჩილი ისმის ფიცვიით:
— „სისხლი აიღეთ, მებრძოლებო, სისხლი აიღეთ!“

ხალხო, დიდება მათს ძახილებს გამაღვიძებელს,
განა ვინც მოკვდა, ყველა გეტოვებს, ყველა მკვდარია?
ჩვენგან განუყრელ წულუკიძეს მარად დიდება,
იგი დარჩება ძღვევამოსილ პროლეტარიატს“.

კობა დახედავს თანამებრძოლს ხელდაკრეფილი,
ორთავ თვალეზი ენთებიან, წყვილად კრთებიან.
თმებზე რიგრიგად მოჰყვებიან წვიმის წვეთები,
ლაწვებს ჩარბიან, მერე ყელში ინასკვებიან.

დვას და ღუმელში გამოჩნდება, კლდეს მიკირული,
შორი მეტეხი, კეცხოველის ბნელი საკანი;
ალარც ის არის, მუხთლის ტყვიით გულგანგმირული
ქართლის მიწაში სამუდამოდ წევს სამთავანი.
ორი დაეცა, ორი მუხა, ორი არწივი,
ორი მებრძოლი, ურყევი და მტრისგან დევნილი;
კობა ვასცქერის — გამოჩნდება შორი მანძილი
და ჩრდილოეთში გაიეღვებს სახე ლენინის.
მაშინ გმირულად ჩაუძახებს ხალხს სამთავანი,
დასძრავს მდინარეს, ისევ რაზმებს დაუბრუნდება,
აფრიალდება ქვეყანაზე დროშა მაღალი
და სამყაროში ძღვევის ჰანგი აგუგუნდება.
მიდის ლაშქარი, დაუთხრია წვიმას მთა-ველი,
მოაქვს მდინარეს დაცემული მთებში ჭადარი.
რჩეულს ეყოფა სამშობლოში მიწის მტკაველი —
მალე მოსძებნის ყველა მიწა და ბინადარი.
ვის დაუნახავს კოლხიდაში ძირმოკვეთილი
როგორ მიჰყვება რიონს მუხა გაულუნელი?
ასე დაბრუნდა სამშობლოში გმირი კეთილი
და მოკრძალებით შეეგებნენ საუკუნენი.

მოგონება ბოლომთქმაში

როცა ჩასვლის წინ კოლხეთს დასული
ღრუბლებს დასძლედა მზე ჩვენებური,
ორი ცაცხვის ხე, ორი ასული,
ენტო საფლავთან შეჩერებული.
და საღამოს წითელ მზისაკენ
ჰქონდათ აწვდილი მუდამ ხელები.
ზრდილი ცისაგან და მიწისაგან
იდგნენ ცაცხვები უდარდლები.
მე კი მესმოდა რაღაც წუხილად
შენს სამარეზე ვოთლის ჩურჩული,
და დაგცქეროდი მშობელს უხილავს
გულჩათხრობილი, როგორც კუნჭული.
მზე რომ წვებოდა აღუღებული
და დანამავდა ფოთლებს ისხარი,
წვიმა, ის წვიმა გადუღებელი,
მეჩვენებოდა დაუვიწყარი.
თითქოს ხელახლა და უარესად
წვიმას უნდოდა მიწის გაღლობა,
ასე ფიქრობდა შენს სამარესთან
ორი ცაცხვი და ჩემი ბაღლობა.
ახლა შენს სახელს ქვეყნის ტიტანი
ყველა ვაჟკაცებს მიკრძნე აკონებს,
მე კი სიმღერად გადმოვიტანე,
რაღაც ბაღლობაში გულს ჩამავიწინე.

ბაზალეთის ვა

ქართლის ძილშია გახვეული სამშობლო მთელი,
მთვარეც ჩასულა, ვარსკვლავები აღარა ბრწყინავს.
მხოლოდ მიწურიელ — შანდლის თავზე ერთი სანთელი
თავსა ანარცხებს... წამოდგება, და ისევ ბზინავს...
სძინავს დიდებულ ჭაღაროსანს ნათელის ძილით,
მგოსნის ბინაშიც დადუმებულ ჩონგურებს სძინავთ.
მას ესიზრმება: უცარი მკრთალი ნათელი
როგორ მოადგა ფანჯრებიდან მგოსანის ბინას.

მოადგა შუქი — სიხარულის ცრემლი წამწამებს.
გაჩაღებული ბაზალეთის ზეცა ღვიოდა,
და ტბად ქცეული ივერიის ცრემლები მწარე
შამბნართა შორის გულდამწვარად ამოხვიოდა.
ხვიოდა ტალღა და ვარსკვლავებს — ვეფხვების ბრწყალებს,
ლამის წყვილიადში ნაპერწკლები დაბლა სცვიოდათ;
გადასხნილიყო ბაზალეთის წალკოტი მწვანე, —
ოქროს აკვირიდან მზეჭაბუკი ამოდიოდა.

ამოდიოდა... და თან ცეცხლი ამოიყოლა,
იმ ცეცხლის ნათლით პრიალებდა ჭაბუკის ფარი.
ხელში ეჭირა ნაპერწკალი და ცაზე რგოლად
ცეცხლს ნაპერწკალს ავრცელებდა სასტიკი ქარი...
იყო სიზმარო — განახლების გრიგალის ქროლა,
ქვეყნიერების გადარჩენის ენთო ცისკარი.
გამოეღვინა, და გარშემო არა იყო რა —
თბილისის გულში მოშხუოდა მდინარე მტკვარი.

ინათებს ისევ ღვინისფერი თბილისის დილა,
ქუჩა წყნარია. თოვლზე მიჰქრის ერთი მარხილი.
დასკყივის ცხენებს მოგზაური იმ მარხილიდან
და ისმის ცხენთა თქარა-თქურის გამოძახილი.

მიჰფარდა იგივე... წინ ნამქერი ქარმა არია
და ახლა მინებს ესეთქება, როგორც მახვილი;
„ნუთუ, ოცნება, მხოლოდ თოვლი და სიზმარია“ —
ფიქრობს მოყმეზე ნაღვლიანი და თავდახრილი.

უცებ... კედლიდან ივერიის ზარი წკრიალებს...
ჰქრება ბურანი. კიბეებზე ჯულაშვილია.
ისმის მსუბუქი ნაბიჯები... კიბე ქრიალებს...
უახლოვდება... და შეხვედრა უფრო ტკბილია.
ასეა ხოლმე, როცა ელი ნაპერწკლიანებს —
დილის მნათობებს, და მუხებიც მხარგაშლილია.
მოვიდა. ლაღი შემოაღებს ოთახის კარებს
და მზესთან ერთად — წამოდგება ფეხზე ილია!

გრიგოლ აბაშიძე

უჩაქელახალი

...არამედ არა არს უწყებულ ვისით
აშენდა პირველ...

ვახუშტი

თავისუფალი, უბატონო და ქედვიცხელი,
ამაყი იყო, ღონიერი ჰქონდა მარჯვენა,
ალბათ პირველად მან ისწავლა ცეცხლის გაჩენა,
მიტომ ვერ მისწვდა შის გაჩენას წულთაღმრიცხველი.
ვაზის სამშობლო და ვეფხების თავშესაფარი,
ეფრატის პირად დაესიზრმა მიწა ქართული,
ტარიელივით ვეფხის ტყავით ტანმოხატული
ქალდედან ქართლში წამოვიდა, როგორც ზღაპარი,
მწყურვალემ შხეფი ხარბად შესვა, როგორც შარბათი,
როცა ღიახვი გადალაზა მტკვრის შესართავთან,
დაანთო ცეცხლი, სალოცავად კერპი ამართა,
დადგა კარავი და გაშალა გუდა-ნაბადი.
წარმართი მთვარეს მსხვერპლს სწირავდა დილა-საღამოს,
ხნავდა მიწას და ყურს უგდებდა ადგილის დედას,
მიჰქროდა ლაშქრად და შვილების ჯარი მისდევდა
შთამომავლობა გამრავლებულს. როგორც თარგამოსს.
ხარობდა დიდხანს ასწლოვანი მოხუცი მშვიდი,
გაჩნდა ქალაქი და უბანი უბანს მოება,
ბოლოს მოხუციც ჩაიყვანა უდაბნოებამ.

საფლავში ხონჩით,

სალამურით,

კავით

და მშვილდით.

ტყეში დაკრძალულს ირგვლივ ერთყა მწვანე ტევრანი,
შთამომავლობა არ აკლებდა სანთელს და ზვარაკს,
პაინც საკუთარ ხელით ნაშენ საყვარელ ქალაქს
არ შორდებოდა მისი ლანდი მოუსვენარი.
სტოვებდა სამარხს, სატუსალოს და ძელების საკანს,
აკლდამის ქვებზე როს გაჰქონდა სეტყვას რახუნა,
მასი აჩრდილი, ვით ნაცემი და გალახული,

დასტყვილ ხეებს იკავებდა წაქცევისაგან.
როცა ციხესთან შუქდებოდა სალამოს ჩრდილი,
ვანსაცდელის ჟამს, როცა მტერი ქალაქს აქცევდა,
შავ ცხენზე მჯდარი ცხადდებოდა და ვაჟაკებთან
გამოდებოდა ღრუბლებიდან ხმალამოწვდილი.
და თუ ვერ სტყებდა გორის ციხეს მტრების ისარი,
მიტომ ჰქონია კლდის სიმაგრე და ძლიერება,
რადგან კედელში დაატანეს ნაშიერებმა
აშენების დროს მისი მტკიცე გულის ფიცარიც.
სახლის კი არა, ძეგლების რღვევას გრძნობდა ტკივილით,
ლამით მიწისძვრით რომ გაჰქონდა სახლებს ზრიალი,
ნასახლარებთან დადიოდა თვალცრემლიანი
მისი აჩრდილი გატეხილი და ფერმიხდილი,
საუკუნეებს აწყდებოდა მისი ჩვენება,
მოსდევდა დიდ გზებს ეკლებიანს და ნისლებიანს,
რადგან მის ქალაქს მოსვენება არ ღირსებია,
არც მას ეღირსა დამშვიდება და მოსვენება.
აღარ ეშველა მზის ამოსვლას, აღარ ეღირსა,
აღმოსავლეთი დაჰკარგოდა თითქო სამყაროს,
მზის მომლოდინეს, მეოცნებეს და უსახლკაროს.
ქალაქზე ჯავრად გადაექცა ჯავრი ქვეყნისა.
და ერთხელ ლამით ძლივს აუხდა ოცნება დაღლილს,
ძლივს შემოადგა ბნელში შუქი ლანდთა ბინადარს,
აღმოსავლეთის, განთიადის მსგავსად ბრწყინავდა
ქალაქში ერთი პაწაწინა ქვიტკირის სახლი.
გულის ცახცახით გაიარა ლამის უკუნი,
ჩუმად, უჩინრად გაიკვლია ბინდში გზაკვალი,
ნახა ქალაქის უკვდავება და მზის აკვანი,
და გულში ჩაწვდა ჩონგურების ტკბილი ღულღუნი.
უცებ გაცოცხლდა მარადისის ბნელში მიმწვდარო
იავენანინა, საოცნებო ია და ვარდი,
ჩონგურის ხმაში გადასული იდგა წარმტაცი,
რომ განეცადა მზის თავმდები და საწინდარი.
იდგა აჩრდილი, ამშვიდებდა მწუხარეს ბავშვის.
შეუცნობელი ვლიმება გასაკვირველად,
მან საკუთარი უკვდავება ნახა პირველად —
თავის საძირკელის და ქალაქის უკვდავებაში.
ჩონგურის ხმაში გაჰქრა ლანდი გასაოცარი,
გაჰქრა და დინჯად ჩაიარა წელმა სამოცმა,
ორი მდინარის ოთხ ნაპირზე გაღმა-გამოღმა
ბრწყინავს ქალაქი, ერთ დროს ფერფლი და ნაოხარი.

ლაგე მეთაუზასთან

მთვარემ ფარულად შუქით შეგვმოსა,
ამოპარულმა საჯინხვეებით.
ხელეზგაწვდილნი დგანან ხეები,
თითქოს უნდოდეთ ქობში შემოსვლა.
მოხუცმა კვესი ჩამოჰკრა ტალზე
და სიტყვას უფრო გაუჩნდა ეშხი,
ღვივის ჩიბუხი და ქვევით, ხევში
ლიახვი ხენეშით მიარხევს ტალღებს.
ცრემლით იგონებს ბერი მეთევზე,
ათას ჩინგისხანს, ათას ამირას,
როცა ხელფეხი ჰქონდა ამირანს
მაგრად შეკრული მშობლიურ მთებზე.
როცა ხალხს ხალხი ხმლების ტრიალით
სდევნიდა სწვავდა როგორც წარმართებს.
როცა სიკვდილის გზებით წარმართეს
ათიათასთა ბედი ტიალი.
როცა გუგუნნი გაჰქონდათ ფარებს,
ძრწოდა სიკვდილი კარიდან კარად.
როცა ერთმანეთს უტევდნენ მარად
ქრისტეს ჯვარი და ნახევარმთვარე.
მათ მწუხარებას, ამბობს, — მათ ვარამს
ცეცხლივით კვამლი რომ ჰქონებოდა,
ცა და ხმელეთი დაბნელდებოდა;
ო, დაუჯერე ამ ჩემ ჭალარას.
მაგრამ იბრძოდნენ თავგამეტებით,
არ უდრკებოდნენ მკერდზე ნატყვიარს.
ჩაჰხედე ლიახვს, ახლაც ატყვიათ
კალმახებს მათი სისხლის წვეთები.
და ეს ველები თუ მთავორები
მამაპაპათა მუხლით ნალახი,
თითო ბუჩქი თუ თითო ბალახი
მათ წმინდა სახელს მომაგონებენ.

...ბოლოს ეღირსა მიწას სხვა დარი,
სულ სხვა დიდება გასაკვირველი.
აქ დაიბადა გმირი პირველი
და ხალხს შეუღო სინათლის კარი.
გაჭხედე, ნახე, ქართლის ველები,
მისი ბავშვობის ფეხით ნათელი;
გაჭხედე, ნახე, მისი ნათელი
მშობლიურ ქალაქს როგორ ევლებათ,
წინ, გორის ციხეს ცა ედგა მხრებზე,
ხელმარჯვენე მთვარე ეყუდა ფარად.
შორს, მიდიოდნენ ღრუბლები ფარად
და მიარხედნენ ვარსკვლავთა ეფენებს.

სამარყანდელი ხალიჩა გორში

მას არც ფრთები აქვს, არც ჯადოსნობა,
რა უნდა მასთან ზღაპრებს, ლეგენდებს;
იგი უბრალო ქალმა მოქსოვა,
რომ მისი შუქი დადგეს კედლებზე...
ზედ თემურლენგის კოშკის მაგიერ,
კრემლის გუმბათი დგება ამაყად, —
და როგორც მზეში მოქნილ ბაგირებს
ნაწვიმარ ასფალტს ელვა გადაჰკრავს...
მიხვალ და ზვიად კრემლის თვალებში
ბრწყინავს ტონთით და სამარყანდი;
არ აგევესება მკერდი კაეშნით,
არც მოგაწყდება სხვადასხვა ლანდი...
ზიგრილე ჰფანტავს სამხრეთის აღმურს,
და ქარავანი მოზღვევს ქარავანს;
გაულვიძნია ქალარა ჯამბულს, —
შუა აზია უსმენს ფალაფანს!..
არ სთვლემს ქვიშაში ფერგანის ველი; —
ქათქათი გააქვს ეგვიპტურ ბამბას...
წასულა ცაში ლერწამის ღერი,
საგანთიადოს გუგუნებს დამბა!..
...მოდის უზბეკი, მოდის ქართველი,
ახალ პროსპექტზე ჰფანტავენ ყვავილს, —
და ტრიბუნაზე დროშის კალთები
თავს ევლებიან საყვარელ სტალინს!..
მოდის ყირგიზი, მოდის თურქმენი,
ფეხზე ამდგარა მთელი ქალაქი;
მოდინ, მოაქვთ ძმობის ფურცლები,
ძმობას მეტყველებს ქვების დაღადიცი!..
მე დიდ ქორწილში მგონია თავი,
ვეამბორები ხალიჩის ფოჩებს;
მომჩერებია ათასი თვალი, —
და სიხარულის ნაკადი მოსჩქევს!..
ხმაური ჰფარავს მასპინძლის ოთახს,

ღია ფანჯრიდან მოსჩანს ლიახვი;
არ ისმის ვაჟას არწივის შფოთვა, —
მალლა მიიწევეს ოშახიანი!...
ჩამოვათავებთ ძვირფას შიქასტებს, —
შემოვუსხდებით* ციცივე ხელადებს...
მივაჯახუნებთ ჭიქას ჭიქაზე, —
სადღეგრძელოებს ვიტყვით ბელადზე!...
დავლოცავთ იმ კარგ ოსტატის ბედსაც,
ვინც ეს ხალიჩა აზრით შემოსა;
ვინც ჩვენი გულის ფესვები შესძრა, —
და შთაგონება დაგვიცხენოსნა!...
დავლოცავთ მტკვარსაც — ქართლის
თანამგზავრს,
ჭერს შეაწყდება „მრავალეამიერ!“...
შემდეგ ბელადის ყრმობის შარაგზას,
მტკვრის სანახავათ ჩაგალთ, ჩავირბენთ!...

ილია ხოშბარია

ქალაქი გორი

დიდი ქალაქის ანთებული ჩირალდნები
მას არ უნახავს,
კუნაპეტ ღამის მწუხარება
შემოხვეოდა მდინარე ლიახვს.

ცად ატყორცნილი ალვის ხეთა
კენწერონი ნისლს დაებურა,
ავდრიან დღისა მოლოდინში
თითქოს გლოვობდა ჩიტი — ბელურა.

ქარი მრისხანედ იჭრებოდა,
იმსხვრეოდა, ქუჩის ფანრები
გულსაკლავად ჩრდილს დაეფარა
ოქროსფერადი გორის ატმები.

გაქრა წყვდიადი, და გორის მიწას
გულში ხალისი ჩაუნერგია,
აქ დაიბადა დიად მომავლის
მანათობელი ქვეყნის გენია.

აჯანყებულთა მედგარ მედროშეს
რა გული ჰქონდა მკერდში მღებარე,
რომ ბავშობაშიც მისი თვალები
მიმზიდველი და იყო მგზნებარე.

აგერ ის სახლი, სადაც პირველად
ხელი შეახო ბავშვმა შვილდ-ისარს,
აგერ ის სახლი, სადაც პირველად
გული აფეთქდა ჯულაშვილისა.

ტოლებთან ერთად ყელ-მოღერილსა
სურით წყაროზე ჩაურბენია,
აგერ ამ ტახტზე დედის ძუძუებს
ბავშვი რამდენჯერ ჩაჰხუტებია,

პატარა სოსო, მის მშობელ მიწის
ანკარა წყაროს ეწაფებოდა,
კილით-კიდედღე ყველა ქვეყნისთვის,
ხმის მისაწვდომად ემზადებოდა.

აი სურათი, სადაც იღია
კობას უცქერის ჩაფიქრებული,
სახით მლიმარე კობა კი მშვიდად
ლექსებს უკითხავს შთაგონებული.

3

კვლავ ვინახულე ქალაქი გორი...
მზე დაკაშკაშებს ლიახვის ტალღებს,
რა სინარჩარე შემატებია
უხვად დაყურსულ ხეხილის ბაღებს.

დღეს გორის ცაზე ეს სილაყვარდე
მსურს შევადარო ლამაზ არშიას.
შინდა აქ დაფრჩე, ვუსმენდე ხშირად
ასწლოვან ხეტა ფოთლების შრიალს.

არის პირველი, — დედამიწაზე
დღეს არსებული ქალაქებს შორის,
ძლევის დიდების გამომხატველი
დარჩება მუდამ ქალაქი გორი.

სხვა ყველაფერი წარმავალია...
არის უკვდავი კაცობრიობა,
დიდო ბელადო, ხალხიც მარადეამს
შენს ნათელ სახელს ეამბორობა.

ჩემო ქალაქო ბნელი წარსული
ციხის კედლებში დამარხულია,
და ხალხის ძმობის დიადი დროშა
მის ნანგრევებზე ამართულია.

ძველო ქალაქო, — აი ამ ლექსით
ოდნავ დავხატე შენი დიდება,
ჩვენი ცხოვრების საგალობელი
დღეს ჩვენს გულებში კვლავ აინთება.

სიგლეჩა სვალინსა

„მათრია წუთსოფელმა
და მომათრია დღემდინა“,
ვარდებად მიფენს, რაც დღემდე
უცრემლებია ჩემთვისა.
რასაც ვერ ვიოცნებებდი,
იმდენი ლხენა შემძინა:
აუსრულები ნატვრანი
ძღვნად დალაგა ჩემწინა.
ძალაც შთამბერა ურყევი:
მტკიცე და გაუწბილები:
საფლაფში შევძრა სიამით
დიდი ხნის დახოცილები —
თავისუფლების მებრძოლნი,
თავისუფლების გმირები,
დღევანდელ მედროშეების
დაურღვეველი ძირები.

და ვყვივ ბედნიერებას,
ვყვივი საამო ვაშადა,
ვყვივი მკვდრეთიდან ამდგარი
ერთ საფლავიდან ასადა:
თავისუფლება მოვიდა
ჯერ არ ნახულა არსადა —
დასაბამიდან ტანჯულთა
დადვრილი სისხლის ფასადა.

წინად რომ იყო ჟანდარმი,
ის სამუდამოდ მკვდარია,
ეხლა იქ ყველა ერების
მუშა-მშრომელნი არიან
და ყველა თავის ენაზე
ამ ლექსის მოუბარია:
„ვაშა საყვარელ სვალინსა,

ვბნე ჩვენი მზე და მთვარეა¹¹.
მეც ვამბობ: ვაშა სტალინსა,
მადლოსა და ძალსა მზისასა,
დაუშრეტელსა სინათლეს
კაცობრიობის დღისასა!
გვწამს, აღარ დაულამდება
ქვეყანას სტალინისასა!

თქმული — გარეკახეთში.
ჩაწერილი ი. მამდლიშვილის მიერ.

ზალმა დაზაძე

ვერსი სიღარი სვლინზე

კავკასიონი შირხა,
მოსწყდა ცრემლისა ცვარია,
ბინდმა დაჭფარა მინდორი,
გორისა ნაციხვარია.

წუხილი გასცდა ნაპირებს,
ტყეში გაიქცა ფირალი,
მეფემ ანთო საკირე,
ზალმა კი ნასაკირალი.

შენ მოველინე მფარველად
შშრომელი ზალხის კერასა
და ყველა შემოჭაროდა
შენს მზეებრ გამობრწყენასა.

გაატიალე ხუნდები,
ამირანს კარი გაუღე.
და არწივების გუნდებით
ზალხს სინათლისკენ გაუძღე.

აშენდა ჩენი სამშობლო
შოთაის ცრემლით ნაბანი,
ილიას შუბლი ანათებს
როგორც ქართული ანბანი!

იცოცხლე, იბედნიერე,
მოგცეს ადამის დღენია,
კარგად გიმყოფოს ერთგული
შენი ლავრენტი ბერია!

ლადო ბალიაური

პირველი შეხვედრა

იგი დიდხანს დადიოდა ტფილისის ქუჩებში. აკვირდებოდა: ადამიანებს, უცხონივეთებს და საქონლით საესე ღუქნებს, ბოლოს ისევ გეურქას სადგომს მიაშურა ღამის გასათევად.

სადგომი ხალხით იყო სავსე. ღვინის, არყისა და პაპროსის კვამლის სუნი ტრიალებდა ვიწრო ოთახებში.

ვაჭრები შემოდრიოდნენ მალიმალ, მუშტრის თვალით უჭვრეტდნენ ყველას, ყველასაგან გამოსარჩენს გამოელოდნენ, მაგრამ მისთვის მხოლოდ აღმაცერად თუ შეუხედნიათ: წვერმოშვებული, დაძონძილი, ღარიბად უჩნდა ყველას: თანაც უცხოურად იხედებოდა, თითქოს ყველაფერი აბრაზებდეს და ყველაფრისა ვშინაოა. მივიდა, დაჯდა ერთ კუთხეში და ყურადღებით შეათვალიერა ყველა იქ მყოფი, უცნობები იყვნენ, ჩაფიქრებით ლაპარაკობდნენ, ყველას კმუნვარების დაღი ესვა სახეზე. მომეტებული მათგანი სოფლიდან იყო მოსული, გადასახადებს, სიღარიბეს და პოლიციის უდიერობას უჩიოდნენ. მას სურდა საუბარში ჩარეულიყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, — მხოლოდ ერთხელ შეხედავდნენ, ვაჟაკურ იერს მოუწონებდნენ და თავის სასაუბროს განაგრძობდნენ. დიდხანს უგდებდა იგი ყურს მოსაუბრეთ, შემდეგ საკუთარ გონებაში დააჯამა მოსმენილი და ის გამოუვიდა, რაც თავათ აწუხებდა: — ცხოვრების უკუღმართობა და სიღარიბე. — ზიზლით შეხედა ახლად-შემოსულ ვაჭრებს, დამცინავის ღიმილით რომ ათვალიერებდნენ, და უხმოდ მიწვა კუთხეში; რამდენიმეჯერ წაჰკრეს მას წიხლი ღვინონასვამმა მდგმურებმა, მაგრამ შეეცადა ჩუმად ყოფილიყო, დაემშვიდებინა თავი და ეფიქრა ხვალინდელ დღეზე, ხოლო დილით ადრე გასულიყო ქალაქში და მოეძებნა ის ქარხანა, დღეს რომ ვერ მიაგნო.

იმ წლამდე მან „მშვიდად“ გაატარა დღეები მთაში, მაგრამ ბოლოს გაუჭირდა ცხოვრება: უმიწაწყლო, ნაჯამაგირევით არჩენდა ცოლშვილს; ველარ აიტანა გაჭირვება და გადასწყვიტა წასულიყო ქართლისაკენ „ჯამბარობად“.

— ნუ, ნუ წახოლ! — უთხრა გვარის უმფროსმა აპარეკამ, თანაც გვარს სთხოვდა: „ონჩხარი“ მოეწყოთ და ბარში არ გაეშვათ გვარის საიმედო ჩაღბია; ონჩხარი გაიმართა, — ქერი, შვრია, მოუგროვეს და ორიოდე თვით შეუმსუბუქეს გაჭირვება ჩაღბიას, მაგრამ ცხოვრების სუსხს მაინც თავისი გაჰკონდა — ჩაღბიას დღედადღე ნალველი ემატებოდა...

ჩაღბიას ოჯახში შიში შლიდა შავ ფრთეთ: ქერი და შვრია დაცოტავდა, — ერთიორად დამგლებულ ბავშვებს არაფერი უძლებდათ, ცარიელმა ბურმა და უხმოდ წყლის სმამ მუცლები გაუსია, პატარ-პატარა ორმოებად გა-

დაქცია, მუდამ პურსა, წყალს და ხალს რომ ითხოვდნენ, ინელებდნენ. საპურე გოდრები დაცარიელდა, სიმშილის სუსხმა შიშის ჟრუჟანტელი დაასაბუღრა პატარა ქონში, მაგრამ საშველი არაფერი იყო, — გვარეულებს მოსწყინდათ დახმარების გაცემა, ხოლო ირგვლივ მთები დაითოვლა, გზები შეიკრა, მთა მოსწყდა ბარს და ჩალხიას ოჯახი ციხეში გამოკეტილივით მოემწყვდა და არხოტის მთის ფერდობზე...

ჩალხია გამოსულიყო ჭერხოს ბანზე, იჯდა ქურჭყამოსხმული და ქალას ვასცქეროდა ნაღვლიანად. არაგვის ვიწრო ხეობაში ნისლი ჩაწოლილიყო, ქარი მოქნეულ ხმალივით გაუქროლებდა ფიქრში წასულ ჩალხიას და შეტოტავებული გარშემო შემოუთამაშებდა. თერთვილი ესმოდა ტანს, ნისლის სუსხი აკრიახებდა მიდამოს და სადღაც შორს ქარის გატეხილი ნამქერი ზეგედებოდა, — გრიალებდნენ მთაგორნი, ფრთხებოდა სიმყუდროვე, მხოლოდ წუთით და კვლავ სიჩუმე, სიჩუმე და ფიქრი დაუსრულებელი... იჯდა იგი უძრავად, უჭკრეტდა დანიხსულ მიდამოს და იშმუშნებოდა. უცბად ნისლმა გაუქროლა წინ, სუსხი შეაშალა სახეში, ტანი დაუძრა ოდნავ, თითქოს უწყრებოდა დაფიქრებისთვის, თანაც ბავშვის ტირილის ხმა ამოიტანა ნიავმა ბოსლიდან. ჯა ჩალხიამ მომშვილდული წარბი შეხარა, შუბლზე ხელი გადაისვა და წამოდგა..

— წაოლ!... — თქვა თავისთვის შინისკენ გაემართა. ბოსელში კვამლისა და საქონლის ნაკელის სუნი იდგა; ოდნავად ანათებდა ჩალით შებურვილ სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე; ისხდნენ ჯალაბნი და მიწას მისჩერებოდნენ, მხოლოდ ბავში არღვევდა სიჩუმეს: ტიროდა გამწარებული.

— შიმშილი!... — ჩაიფიქრა ჩალხიამ, ბავშვს გადახედა და შეაჟრჟოლა: ცარიელ პურსა, ხალსა და ქატოს გაეყვითლებინა ყმაწვილი.

— ლომნი! — ნაღვლიანად მიმართა ყმაწვილს ჩალხიამ. ფიქრები დაუძძიმდა... შინ შიმშილი, გარეთ ქარი და გრიალი ზეგეებისა; ვიწრო ხეობა ავსილი თოვლით, ფერდობი ჩამძიმებული თოვლით, სასხლეტზე დამჯდარი თოვლი და თოვლდაფარული გზები...

— დიაცო, მიოლ... — დამტვრეული ხმით ამბობს ჩალხია.

ჩალხიას დიაცს სახე შეუფერმკრთალდა.

— ორსამ თეთრს ვიშოვებ, პურს მოვიტან...

დიაცს ხმა არ ამოუღია, გულში გზა დაულოცა ჩალხიას და მტირალი ბავში დაათირა გამშრალი ძუძუთი...

დილით ჩალხია მისდევდა შენისლულ ხეობას, ფიქრი, ნისლი და დიაცის ნაღვლიანი მზერა მიჰყვებოდა კვალდაკვალ; ქარი უთამაშებდა ირგვლივ, მაღალი ტანი მთლად შეჰგანგლოდა თოვლით ჩალხიას, თოვლის კაცს დაჰგვანებოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა წინ, ღონივრად მიჰკვალავდა გზას, მუხლებამდე სწვდებოდა თოვლი, ყიამან სიცივეში ოფლის ნამი ედებოდა, ტანი ეაოშებოდა და კვლავ ბავშვის სუსტი წივილი ედგა ყურებში, ბავშვის მშვიერი მზერა ეხატა თვალებში...

ოთხი დღე იარა ჩალხიამ, ოთხი დღე ეძება სამუშაო, ოთხი დღე ზიდა ცარიელი გუდა, ცოლშვილის სინანული; ხანდახან შედგებოდა: სივრცეს გაუჭკრეტდა, ბარის მინდვრებს გაზომავდა თვალთ: ოდნავშემწვანებული ქართლის ველი გაეშლიბოდა თვალწინ და გული დაულონდებოდა:

— რამდენი სახნავი ყოფილა ბარში!... მაშ რაადაღ ას კახ შიერი!... —
ეტყოდა თავს და გამწარებული განაგრძობდა სიარულს. გზად შეხვედრილ
სოფელში შეჩერდებოდა: ლუკმა პურს თხოულობდა. გლტხები სინანულით
ხედებოდნენ, ხანდახან შინაც შეიპატიებდნენ, მაგრამ... სიღარიბე იწვა ყველ-
გან მშიერი მგელივით კბილებდაკრეკილი... რამდენიმე ადგილას ამუშავეს
კოდეც ჩაღხია, პური აჭამეს და გაისტუმრეს. როგორც იყო შეხვდა „ხთისნი-
ერი“ კაცი, — ჯამბარა სჭირდებოდა გუთნისთვის, ისტუმრა იგი და სამუშაო
მისცა...

ჩვეულებრივად დამდებოდა და თენდებოდა. მწვანე მოსასხამით იმოსებო-
და ქართლი, მიწისა და მდელის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. ჩაღხია დასა-
სვენებლად მუშაობდა, ფიქრობდა ცოლშვილზე და თანდათან მოუთმენლობა
ემჩნეოდა, ნამუშავერის ხალისი იჭერდა ქართლში, — ხარის ტყავის ნა-
კუწებსაც ინახავდა: ქვაც ქადა არისო შინმიტანილი, იტყოდა გულ-
ში, მაგრამ სასაცილოდ იგდებდა მას სამუშაოს პატრონი: მწითური, ქაღარა,
ტანდაბალი და ოდნავ ღიპიანი კაცი, როდესაც ჩაღხია ნაკუწს არ გადააგდებ-
და, ხოლო მოზრდილ ნაკუწებს ართმევდა ხელიდან. არ მოსწონდა იგი ჩაღხიას.
არ მოსწონდა არ მეზობლებს, ყველა რატომღაც აღმაცერად უყურებდა. კვი-
რობდა ჩაღხია. ხშირად მიდიოდნენ გიგოსთან გლეხები, სთხოვდნენ ხარკამის,
ურემს, თესლს და ჯამბარასაც კი, მაგრამ არავინ უმადლოდა შინაც, ეს აოცებ-
და ხევსურს და ვერ მიმხვდარიყო მიზეზს...

ერთხელ გლეხებს მოეყარათ თავი: ხენათესვაზე ლაპარაკობდნენ. იქვე
იჯდა ჩაღხიაც და თავის ყურით გაიგონა თუ როგორ ლანძღავდნენ გიგოს
გლეხები; დედაც კი უხსენა ერთმა ახალგაზრდამ, შავი ხუჭუტა თმა რომ უმ-
კობდა გრუხა სახეს. ეს ახალგაზრდა პირველ შეხვედრისთანავე მოეწონა ჩა-
ღხიას. სახელი ჰკითხა, ვასო მქვიანო, უთხრა ახალგაზრდამ, ხელი ისე მაგ-
რად მოუჭირა ხელზე, რომ ჩაღხიას დაკოჟრილი ხელი ყველივით დაჰყლიტა,
შავი თვალები შეანათა და, რად ჩამოხვედიო ბარად, ჰკითხა ტკბილი ხმით.
ჩაღხიამაც დაწერილებით უამბო ყველაფერი და იმ დღის შემდეგ დამეგო-
რდნენ. საღამოობით შეხვედებოდნენ ერთიმეორეს, სიმუხხარეს დაიჩივლებ-
დნენ, შემდეგ ვასო საჭიდაოდ გაიწვედა, „ეშმაკის ხერხით“ შეივდებდა ბეჭ-
ებზე უზარმაზარი ტანის ვაჟკაცს და ტომარასავით გაშლიდა მიწაზე; ჩაღხიას
სახე წამოუწითლდებოდა; — ღონით მანაც გაჯობებო ეტყოდა და ერთი მე-
ორეს გაუცინებდნენ. იმ დღეს კი ნაწყენი რადმე იყო ვასო; გიგოზე ცუდს
ლაპარაკობდა, გლეხის დაბადების დღეს სწყევლიდა. ჩაღხიას საჭიდაოდ აღარ
გაუწვევია. ნამწყრალები გამოორდა თავმოყრილ გლეხებს და ტყეს მიაშურა.
ცუღლით ხელში...

სრული ვაჟკაცი იყო, ვასო, მაგრამ ერთი რამ არ მოსწონდა ჩაღხიას ვა-
სოსი: შინ რატომღაც არ ჰპატიებდა. ერთხელ მოინდომა, — თავათ მისული-
ყო სტუმრად. ღობიდან გადახედა ვასოს ქოხს და გაუკვირდა: მიწური, უგა-
რეშამო, მაგრამ კარგადშენახული ქორის ბუდეს ჩამოჰგავდა. მორცხვად შე-
შოეგება ვასო ჩაღხიას; დასახვედრი არაფერი გავვაჩნიაო მოიბოდიშა და
სთხოვა: ნუ მომეხათრებიაო დღეის შემდეგო. გახარებულმა ჩაღხიამ იქვე დაი-
ხაბუდრა, — ძველი თქა გაიშალა დერეფნის ბოლოს და დამლამობით იქ
აჩინებდა.

ვასოს ოჯახში ზედს უჩიოდნენ, სიმწუხარე იწვა მარად... ვასო მოუსვენარი იყო, საღამოზე საღდაც მიდიოდა, უფრო მეტად თენების ხანს ზრუნდებოდა შინ, მოღლილობა ეტყობოდა, გაფერმკრთალდებოდა, მაგრამ ხალისიანად ელაპარაკებოდა ჩაღხიას.

ვასოს მშობლებს რატომღაც ეშინოდათ შვილის სიარულისა, დაღონდებოდნენ, როდესაც ვასო საღმე წვიდოდა, ისხდნენ და ელოდებოდნენ. უკვირდა ჩაღხიას: ვასოს არც ნაქურდალი რამე მოჰქონდა შინ, არც ვისმემს მოსისხლეს ემუქრებოდა, — მაშ რაისად დადისო ამდენს, უკვირდა მას.

ერთხელ უცნაური ამბავი რამ დატრიალდა ვასოს ოჯახში. ჩაღხიამ გაცებით დაუწყო ჰერეტა — ყველას ხასიათი რატომღაც შეშლოდათ: სიმშვიდე, სიხალისე და მხიარული იერი გადაკრავდათ მზითდამწვარ სახეებზე; მოხუცი ქალიც კი იცინოდა, რომლის ღიმილი ჯერ არ ენახა ჩაღხიას... ეზო დაასუფთავეს, სახლი გაწმინდეს, დააღაგეს. გაიბადრა ეზო-კარი, თითქოს პირველად გადაატყდაო თავზე მზის სხივები. ვასო თვალს არიდებდა ჩაღხიას, წუშაობაში იყო გართული; ორჯერ მოვიდნენ მასთან ახალგაზრდები, ჩუმად რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, თვალები და მთელი სახე უცინოდათ, მხიარულად სცილდებოდნენ ერთიმეორეს და სოფელში იფანტებოდნენ.

ჩაღხიამ ვერ გაბედა ეკითხა მხიარულების მიზეზი: ყველა რატომღაც ვრცდებოდა იმ დღეს. მარტო იჯდა დაღონებული და გამუდმებით წნავდა ჯამზარას...

დღემ უჩვეულო სიცილით გაიარა. ვახშმის ჟამს ვასო საღდაც გაქრა, ხოლო სამაგიეროდ ოთხიოდე კაცი ესტუმრა ოჯახს.

დიასახლისი შუბლგახსნილი ხედებოდა ყველას; კერაში ცეცხლი გაახურა; ლობიოთი სავსე ქოთანს ჩადგა ცეცხლში; ლამპის შუშა გაწმინდა, ტახტს ძველი ფლასი გადააფარა და ჩაღხიას საკუთარი ხელით გაუშალა ლოგინი დერეფანში.

გულში დაემდურა ჩაღხია დიასახლისს: დაწოლა არ ეწადა, მით უმეტეს, დღეს საუბარს მოჰკრა ყურბ:

— ის მოვა!... — ეუბნება ვასო ამხანაგებს და მთელი სახე უცინოდა.

— უეჭველად დიდი კაცი იქნების!... — ჩაიფიქრა ჩაღხიამ, როდესაც ლოგინთან დარჩა მარტო, დაწვა მაგრამ დიდხანს იტრიალა ლოგინში: არ ეძინებოდა.

გრძელი ვახშმობა გადასული იქნებოდა, რომ ეზოს კარები გაიღო. მყეფარი წამოხტა ფეხზე, მიიჭრა კარებთან, ერთხელ დაიყეფა, პატრონი იცნო, ფეხქვეშ გაუგორდა, შემდეგ ვასოსთან მოსულს გაეთამაშა, მიუალერსა: ორჯერ ზეწოუარა გარშემო. ოდნავ წკმუოდა, ლაქუტობდა; ისიც დაიხარა, სახელი უწოდა მყეფარეს, თავზე ხელი გადაუსვა; ამ დროს ქოხის კარი გაიღო, სინათლე გამოიჭრა ეზოში, ნაწოლმა ჩაღხიამ აიწია: ვასომ და მისმა სტუმარმა ახლოს ჩაუარეს. ჩაღხია უცხო სტუმარს დააკვირდა გულიანად, გულმა შესივნი გაწია, თითქოს მოუხმობსო იღუმალად; ადგომა მოისურვა, მაგრამ არ დააბალეს: ყველანი კარებთან შემოეგებნენ იმ უცნობს, ჩუმად მიესალმნენ, ზელა ილაპარაკეს, კარები დახურეს და ერთი მათგანი ეზოს კარებთან აიტუზა ხის ქვეშ.

ჩალხიას თანდათან შოთმინება ეკარგებოდა, ეწადა გაეგო: რა ამბავი ხდებოდა ვასოს ოჯახში. ბილოს ვედარ შეიმაგრა თავი, — ადგა. ერთხანს ლოგონის წინ იდგა და ფიქრობდა: საიდან უნდა შეეჭვრიტა შინ. თან ეხატებოდა: ვასო გამიგებსო, მაგრამ წადილმა დასძლია: გაახსენდა, რომ ამდღით, როდესაც ჩალხია ვასოს ქოხში იჯდა, მზის ამოსვლისქამს პატარა შუქი ჩამოდგა სვეტად ქოხში, მამ სარკმელი საღმე უნდა ყოფილიყო. იგი ნელი ნაბიჯით წავიდა იმ მხარეზე, სადაც სარკმელი ეგულებოდა; მიაგნო შიგნიდან გამოჭრილ სინათლეზე. შეიჭვრიტა ქოხში: თითქმის ყველა დაინახა ვასოს სტუმრები, მავრან... დასწყევლოს ღმერთმა!... არცერთი მათგანი არ იყო სტრაჟნიკი, არც პრისტავი, ჩინ-მედლები სულ არავის არა ჰქონდა... ყველანი ერთ მათგანს მისჩერებოდნენ, ჩალხიაც იმას დააკვირდა და თვალი ვედარ მოაშორა... ეს ის ახალგაზრდა იყო, წედან ვასოსთან ერთად რომ მოვიდა, ახლა შუაში იჯდა და იქ მყოფთ რაღაცას უამბობდა. სიხალისე და გაცოცხება უკრთოდა ყველას სახეზე. თავათ საამრ ხმით განაგრძობდა საუბარს: მიხრა მოხრა დინჯი, ქცევა ვაჟაკური, სახე — თითქოს სინაა უტეხი. ხელის მოძრაობა — მოქნეული მხარი არწივისა. ქოჩორი: თითქოს მთის ქუჩია აშლილი ქარის. სიტყვა: „გლები“... „მიწა“... „თავისუფლება“ ბასრი ფოლადი. თვლები მოტაცებული სხივები მზისა და სინაზე ჯეჯილზე გათამაშებული დილის ნიავისა, ელდელდად სიმკაცრე: დათოფილი ლომის მზერისა... ათასი ადამიანი უნახავს ჩალხიას, ათასჯერ სმენია საუბარი გაჭივრებაზე, მაგრამ... რა უცნაური ჟრუანტელი შეუჯდა ტანში! მაღალი მკერდით მაგრად მიაწვა კედელს: მასთან ახლო ყოფნა სურდა. „თავისუფლება!“ შემოესმა ჩალხიას... ეს სიტყვა მან თქვა!... გულს უწვდინა ხეესურს, თავიდანფეხებამდე გაუარა ჟრუანტელმა და ამდროს, მძიმედ დაეცა მძლავრი ხელი მხარზე: მეთვალთვალეს დაენახა იგი.

— რას იყურები? — წყენით იკითხა მან.

ჩალხიას სათქმელი დაეკარგა, შერცხვა: იუკადრისა იღუმალობა.

— გეყოფა!.. ხვალ ვასოსთან აგებ პასუხს!... — უთხრა უცბომა და ურჩია: მიჰბარებოდა საწოლს...

ღამე ტყდებოდა, მაგრამ ჩალხიას არ ეძინა: გათენებისა ეშინოდა: ვასო გაიგებდა მის იღუმალად ყურთადობას. თანაც მოუსვენრობა რამ იგრძნო — უცნობის სიტყვები ჩარჩა გულში, უცნობის სახე ჩაებეჭდა თვალებში, გული უცნაური სიძლიერით მისწევდა მისკენ და უკვირდა: რა დამემართაო ნეტამც. თითქოს ნიავს ჩამოაქესო, — დროდადრო გაუწივლებდა ყურში: „თავისუფლება!“ და ოცნებით ხეესურეთში გადაადგებდა: აი, მისდევს იგი ბილიკს, მისი ბავშვები გადმომდგარან ჭერხოს ბანზე, დანაძოქებულები ხელის ქნევით მოუხმობენ მამას; მიდის ჩალხია, მიაქვს ორიოდ თეთრი, ნაკუწ ხარის ტყავისა და თავისუფლების ხალისი!... „მიწა“... ესმის მას და გაშლილი მინდვრები ეფინებიან მას თვალწინ... თავისუფალი ჩალხია ხალისიანად შედგება და გაპკივის უსაზღვრო მიწას!.. მამ სხვას რას ჰქვიათ თავისუფლება! ჰქონდეს მიწები, საკუთარი მიწები, უსაზღვრო... აი თავისუფლება, აი ბედნიერება... მაძლარი ბავშვები, პურით სავსე კიღობნები და მიწა... დიდი მინდორი, სახნავ სათიბი, საკუთარი, საკუთარი და უსაზღვრო... მიდის ჩალხია საკუთარ მიწაზე: ხნავს, თიბს და მკის... — ფიქრები ერევა ერთმანეთში, ოფლის ნამი ედება, მოუსვენრად ტრიალებს ქვეშაგებელზე, უნდა წამოდგეს, მიდამოს შინც

გადახედოს, ქართლის მიწისთვის მზერით დაიტკბოს თვალი მთვარიან ღამეში, მაგრამ... წყეული მეთვალთვალე დგას ხის ქვეშ, და გრძნობს ჩაღბია, თუ როგორ ბრაზიანად მისჩერებია უცნობის თვალები მას... არც მეთვალთვალეა გასამტყუნარი, ჩაღბიაც ასე მოიქცეოდა, იქნება უფრო მკაცრადაც, მაგრამ უკვირს ჩაღბიას: ან იმ მეთვალთვალეს რა აძლებინებს, სანეტარო საუბარს რომ არ ჟსმენს ლომივით ჭაბუკს, „ვაზირივით რომ უამბობს“ თავისუფლების შესახებ ჭაბუკებს; ან ჩაღბიას რად დაეუფლა აზრად: „მიწა!... „თავისუფლება“... „მიწა“... რა უცნაურად დახტიან ეს სიტყვები ჩაღბიას ფიქრში და რა საამოდ იბეჭდებიან ისინი გულის სიღრმეში!...

გატყდა ღამე. მტრედისფერი გადაეკრა მიდამოს. სტუმრები უხმოდ გასცდნენ ქოხს. მასპინძელი და მყეფარიც კი, მძულად შემობრუნდნენ შინისკენ. წარბთან ვასო შეაყენა მეთვალთვალემ, ჩუმად რაღაცა უთხრა; ჩაღბიას თავის სახელი შემოესმა... აგერ ვასოც წავიდა მისკენ... გვერდზე მოუჯდა, უძილობა დაიჩვილა, სამუშაო მიცდებოდა ამბობდა იგი და სტუმარს მზერას აცილებდა. ჩაღბია მიხვდა, რომ ვასოს სხვა რაღაც აწუხებდა. ველარ მოითმინა და თავათ უთხრა:

— დამნაშავე, იორ, ვასო...

— რა მოხდა?

— უღუმლივ შემოვიჭვრიტე შენ ქოხში...

ვასოს დიდხანს ხმა არ ამოუღია. ბოლოს ეს უთხრა:

— ვაჟკაცობას ნუ დაივიწყებ... — ადგა და წავიდა.

ვასოს ნათქვამმა უფრო გულს უწვდინა ჩაღბიას: ვაჟკაცობა ყველაზე მგტ პატივისცემად მიაჩნდა მას...

გავიდა რამდენიმე დღე. ვასოს უფრო მოუსვენრობა დაეტყო: დადიოდა სოფლიდანსოფლად და იშვიათად მიდიოდა შინ...

გიგო უცბად დაუმეგობრდა ჩაღბიას. ბოლო დროს მანაც ბედზე დაიწყო ჩივილი, — დროუჟამს სწყევლიდა, ყველაფერი კრულიაო, ეტყოდა ჩაღბიას. ერთი ორი სიტყვა „საიდუმლო“ გაანდო. მეფე და სამართალი დასწყევლა. ჩაფრები და მამასახლისები ლანძღა მთელი დღე...

— წასულ ხუთშაბათს ხომ იყავი ვასოსთან? — ჰკითხა მოულოდნელად ჩაღბიას და მაცდური ღმილით ჩახედა თვალებში.

— დიად... — მიუგო ჩაღბიამ.

— ვინ ჰყავდა სტუმრად?

— მე არ ვიცნობ...

— რაზე ლაპარაკობდნენ?

— ჩუმად რაიმ იამბეს...

შეკრთა გიგო. ახლოს დაისვა ხევსური.

— ეშმაკები! — თქვა მან წყენით, — შენ არ შიგიშვეს თუ?...

— არ...

— დასწყევლოს ღმერთმა! — თქვა გიგომ და ღვინით სავსე ჭიჭა მიაწოდა ჩაღბიას.

— ახლა სად არის ვასო?...

— დავას სადამ... საქმეებ იმაქვავ...

— სტუმართმოყვარული კაცია ვასო... ძალიან კარგი ბიჭია...

— ძალიან...

— იმ საღამოს ძალიან ბევრი სტუმრები ჰყავდა?

— არც ისე ძალიან ბევრი...

— ლეინოს დალევდნენ: მოქეიფე ბიჭებია...

— ერთი ჭიქაც არ დაუღვია!

— ხედავ, წყეულები! — გაიცინა გიგომ, — მაშ რას აკეთებდნენ?

— სუ რაღაცაზე ლაპარაკობდნენ...

— ქალებზე ილაპარაკებდნენ... ღმერთმა დასწყევლოს სიახალკაცე...

— არ...

— მაშ?

— რა ვიცი...

— მაინც?... ჩემთან რა გაქვს დასამალი!...

— დასამალი რა იქნების... მართალს თქმა უნდა...

— ჰო და რაღა...

— სიმართლე რომ ვსთქვა... მიწაზე და თავისუფლებაზე ლაპარაკობდნენ... მთელი ღამე არ მეძინა, მიხაროდა...

— ეხ, ვის არ გაუხარდება... შავად მიდის დღეები, წყეტული იყოს გლეხის დაბადების დღე. — თქვა გიგომ. კვლავ ლეინო დაალევინა ჩაღბიას, ერთხანს იქ მყოფთ ნაცნობების სახელები გამოჰკითხა, შემდეგ ხევსურეთის ამბავზე ჩამოუგდო საუბარი და ბოლოს ანგარიში გაუსწორა: ტყავის წვრილი ნაკუწები, სამიოდე პირი საქალამნე, ორი თხის ტყავი, ერთი ნაცვეთი ხალათი და ერთი ვერცხლის მანეთიანი მისცა გიგომ და გაისტუმრა.

ჩაღბიას თუმცა ძალიან ეჩქარებოდა შინისკენ, მაგრამ იმ საღამოს ისევე ვასოსთან დარჩა, ერთი ბოთლი არაყი დალიეს, ძმობა თქვეს და პირობა დასდევს: მოკლე ხანში, ტფილისში შეხვედროდნენ ერთიმეორეს და რომელიმე ქარხანაში ემუშავათ ერთად. თანაც ვასომ ერთი ამხანაგის მისამართი მისცა და დაძინება დააპირეს. ამ დროს შარაზე ცხენის ფეხის ხმა გაისმა, ძალი აყეფდა, ეზოში ვილაცამ გაირბინა. ვასოს ჯალაბობა შეკრთა. თავად ვასო კარებთან მიიჭრა, — დააყურა, სწრაფად შემოტრიალდა, სკამის ბოლოს ნაღვომ ტაგრუცს ეცა, რაღაც ქალაღი ამოიღო, ეჭვის თვალით შეხედა ჩაღბიას, რომელიც ვერ მიმხვდარიყო შეკრთომის მიზეზს და სწრაფად ამდროს მამასახლისი შემოვიდა ქონში. მას კვალდაკვალ მოჰყვა რამდენიმე პოლიციელი.

— ადგილიდან არ დაიძრათ! — შესძახეს ერთხმად ოჯახს.

ვასო სწრაფად გადახტა მარცხნივ, — ქალაღები აღმოქნულ ცეცხლში გადაყარა და მამაცად დადგა პოლიციელის წინ. პოლიციელმა ცეცხლშიმეყრილ ქალაღებისკენ გაიწია, მაგრამ ვასო ოღნავ წატორტმანდა: წაეჯახა პოლიციელს — არ გაუშვა ცეცხლისაკენ. გამწარებული პოლიციელი ილანძღებოდა და ერთ ადგილზე სცემდა ჩექმიან ფეხს, ხოლო დანარჩენები ქონს დაერივნენ, — ჩხრეკდნენ, ამტვრევდნენ. როგორც იყო იჯერეს გული. ბოლოს ერთმა მათგანმა შეაკრად მიმართა ვასოს:

— შენ დაპატიმრებული ხარ!...

— მეტი აბა რა შეგიძლიათ! — ცივი სიტყვით უთხრა ვასომ. ჩაღბიას დააკვირდა, თითქოს საიდუმლოს ამოკითხვა სურსო.

ჩაღბია გაოცებული იდგა ერთ ადგილზე, სახე გაფითრებოდა, სიმწარით

ხელფეხი უთრთოდა, არ იცოდა რა ექნა. უფრო გაოცდა იგი, როდესაც გიგო შემოვიდა ვასოს ქონში და კმაყოფილებით იღიმებოდა.

— ხომ გითხარი სტუმრათმოყვარულია: მეთქი ვასო! — შიმართა მან ჩაღხიას.

ვასომ ჩაიციხა, ხოლო ვასოს დედამ გაკვირვებით შეხედა სტუმარს: ჩაღხიასგან არ მოელოდა დალატს იგი...

ჩაღხიას ბევრი სიმწარე გამოუვლია, ბევრის გულის დარდი გადაუტანია, ბევრი ჭრილობა გაუჭურნია, მაგრამ ასეთი გულის ტკივილი არ უგრძნია არასოდეს. უცბად გაახსენდა ვასოს ნათქვამი: ვაჟკაცობას ნუ დაივიწყებო, რომ უთხრა იმ საღამოს; გაახსენდა გიგოს ხასიათის გამოცვლა, მის მიერ ჩაღხიასადმი ამბის გამოკითხვა... თითქოს საყინულეში ჩასვესო — ცივი ოფლით შეეტბორა ტანი. ძლივს გაბედა შეეხედნა ვასოსთვის: იგი ამაყად იდგა. ამაყად იდგა მაშინაც, როდესაც ხელეები გაუჯერეს და წინ გაძლოლა უბრძანეს. ვასომ მხოლოდ დედას გადახედა — დაამშვიდა. ჩაღხიასათვის ყურადღება არ მიუქცევია და ეს უთხრა გიგოს:

— გადაგზიდი სამაგიეროს! — და წინ გაუძღვა პოლიციელებს.

ჩაღხიამ დაკვირვებით შეხედა გიგოს, გულში რაღაცა ჩაიფიქრა და იმის შემდეგ იგი მარტო დარჩა ეზოში, მიწვა ხის ქვეშ შავ თექაზე და მიწას მაგრა დააწვა მკერდით: გული სტკიოდა, ვერ უძლებდა გულის ტკივილს...

დილით ჩაღხია აღარვის უნახავს, არც ვისმეს შეუუმჩნევია იმ სოფელში მისი არყოფნა: ვასოს დედმამის საკუთარი სადარდელი ჰქონდა; გიგო კი დილიდანსაღამომდე ქეიფობდა ნაცვალ-მამასახლისთან ერთად; მხოლოდ ბინდის ეამს აშალეს მათ ხისქვეშაშლილი სუფრა და ღამის მოსვენებას მიეცნენ.

ის იყო დავახშმდა, რომ უცბად გიგოს ეზოში ვიღაცა გადახტა ლობზე. ერთხანს უძრავ იქმნა, — გარემო შეათვალიერა. გადაიბრინა რამდენიმე ნაბიჯი. კვლავ შედგა: ეზოში ვიღაც გამოვიდა, მყეფარი აუშვა და იმედიანად დაიხურა კარები.

მყეფარი ნელის სუნსულით მიუახლოვდა ხის ქვეშ მდგომს, შემკრთალმა ოდნავ წამოიყვია და თავი მიანება უცხოს, ხოლო მან ჩქარი ნაბიჯით გაიარა ეზო, მივიდა მკრთალად განათებულ სარკმელთან, შეიჭვრიტა ოთახში და რომ გიგო მარტოდ ნაწოლი ნახა, გაეხარდა; გიგოს ჯალაბთ სამყოფს კარები გადაკეტა, დერეფანში ჯამბარა მონახა, ერთი მათგანი აიღო და პირდაპირ გიგოს ოთახისკენ წავიდა.

გიგოს უგემურად ეძინა, ოდნავ შეიშმუშნა უცნობის ფეხის ხმაზე და საბანი წაიფარა თავზე.

მან სუნთქვა შეინელა, თავი დაიმშვიდა, ოდნავ ფეხაკრეფით მიუახლოვდა გიგოს, შედგა მის საწოლთან: ჯამბარა გამოშატა, მომზადებულად დაიჭირა ხელში, თითქოს ველური ცხენისათვის ქამანდის გადაადგებას აპირობსო, თანაც ხანჯარი ამოიღო ქარქაშიდან, ჯამბარიანი ხელი წაკრა გიგოს და ხანჯარი დაადოდა გულზე.

გიგოს ნელად გაეღვიძა, მაგრამ გაახილა თუ არა თვალები, თავხარი დაეცა, ენა ჩაუვარდა და ეს რა წაილულლულა:

— რისთვის მკლავს!...

— ხმა გაკმინდე! — მკაცრად უთხრა მან, ხანჯარი გულზე დააბჯინა წვერივით. თანაც ჯამბარას შატი გადაუდვა კისერზე და თავისკენ მოსწია.

— მახრჩობ?!...

— ჩუ... — თვალები დაუბრიალი მან.

— ფული რუ გინდა... აგერ...

— ეხლავე... — ცივად შეელიმა იგი, კისერზე გადადებულ ჯამბარას უფრო მაგრად მოსწია. — წამოდექ! — უთხრა მკაცრად. გიგო წამოჯდა.

— აგერ ფული... ნუ მომკლავ, ჩაღბი!...

— ხმა!... — უფრო გამკაცრდა ჩაღბია მაგრად მიაწვა ხანჯარს და ეს კითხვა:

— ხომ შენ დააჭერიე ვასო?...

— მე რათა!...

— სიმართლე მითხარი! — ხანჯარი უჩხვლიტა მუცელზე.

გიგო შეხტა და უნებურად წამოთქვა:

— ჰო...

— რად?

გიგოს ხმა აღარ გაუცია..

— რად? — გაბრაზდა ჩაღბია.

— მთავრობის მტერი იყო და იმიტომ..

— მტერი?

— ჰო...

— მითხარი: ვინ იყო ვასოსთან იმ ღამეს?

— შენ უკეთ იცი...

— მაინც?

— ბუნტოვნიკები... ღმერთმა დასწყევლოს..

— მაშ ყველა დაიჭირეს?

— მგონი...

— რას უზამენ?

— ციმბირი და იმათი ჯანი... რაში გეკითხება... ცუდი ხალხი რა შენო საქმეა, ჩაღბი!... გამიშვი ხელი! ლამის დავიხრჩო...

— მაშ ისინი დაიჭირეს?

— ეგრე თქვეს...

— შენ საით გაიგე იმათი იქ ყოფნა? — ჰკითხა ჩაღბიამ და ბრაზით გონება დაჰკარგა წუთით.

— აი შენ მითხარი...

— მაშ მე გითხარი?

— ჰო!...

ჩაღბიას თვალები დაუბნელდა სიმწარით... მერე აღარ ახსოვს რა მოხდა, ხოლო ეს კია: მეზობლებს საშინელი კივილი შემოესმათ და როდესაც გიგოს ოჯახში მიიღბინეს, სისხლის მორევში ნაწოლი გიგო იხილეს; მას ყელზე ედვა ჩაღბიას ხელით დაწული ჯამბარი და გულზე ეყარა: ხარის ტყავის წვერილი ნაკუწები, საქალამნე და ვერცხლის მანეთიანი...

... გამგელებული ვაჟკაცი გარბოდა მისკენ; ქართლის მიწა ეფინა მის წინ, კრიალა ცა ეხურა თავზე და თავი არ ენანებოდა ვაჟკაცს.

ჩაღხია ჩქარის ნაბიჯით მისდევდა არაგვის ნაპირთ და თვალს ვერ აშორებდა მთის ქედზე ბუსავით გადმომჯდარ ქოხს: ქოხი ჩაღხიას ბუდე იყო, მაგრამ... კვამლი არ აღიოდა, კარზე დიაც-ყმაწვილი არ მიდმოდიოდა, ეზო-კართ არავინ ჩანდა... უცნაურს გრძნობდა ჩაღხია, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა წინ...

ბინდს მისწრო ქოხის კარზე, კარები დაკეტილი დახვდა, სახლი ცარიელი. მხოლოდ კატა შემოეგება წინ, გამხდარმა საცოდავად დაიქანავლა. ბოსლიდან ნესტის სუნი ეცა ჩაღხიას და ცარიელი კედლები მუნჯივით დადგნენ მის წინ.

— დიაცო!...— გაუბედავი ხმით თქვა მან. თავის ნათქმისა შეეშინდა, ობოლივით დაიკარგა. მისი ხმა ცარიელ ქოხში, თითქოს საფლავიდან იძახისო ვიღაცა... ქოხი ცახცახით შეათვალღერა: არც ერთ ნივთს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ყველაფერი ცივად, უფერულად, უსულოდ ქცეულიყო... გიჟივით გავარდა იგი გარეთ, მიიჭრა მეზობელთან და შემდეგი ამბავი გაიგო:

ჩაღხიას პატარა ბავშვები სიმშლის მოენელებინა, მეუღლეს სიმარტოვე და გაჭირვება ვერ აეტანა: წასულიყო მამის სახლისაკენ და თოვლის ზეგვს ჩაეყოლა ჭალაში...

— შენ ვაჟკაცი ხარ, ვაჟკაცს მოთმენა შეგენის... — დაამედა ამბისმოყვოლმა ჩაღხია, ხოლო ჩაღხიას ხმა არ ამოუღია, უსიტყვოდ გაშორდა მეზობელს, ჭერხოს ბანზე იჯდა იმ საღამოს, თითქოს ქვა არისო უძრავი, დილით კი საბარო გზას გაუდგა უსაგძლო, უცოლშვილო, უმიწაწყლო... იხეტილა ბარის სოფლებში, შემდეგ ქალაქს მიაშურა: ვასოს ნაცნობის მოძებნა და ქარხანაში შესვლა. მოიწადინა, ეინტერესებოდა ვასოს ამბის. გაგება და აი, ჩაღხია იმდღის ჩასული იყო ქალაქში, გეურქას სადგომში რომ იწვა მოსკრილი იატაკზე, მდგმურების ფეხქვეშ, ფიქრობდა ქარხანაზე და ვასოზე...

ჩაღხია მისდევდა ბრბოს, აწყდებოდა აქეთ იქით, ეჯახებოდა მოქალაქეთ; ლანძღავდნენ, გაურბოდნენ, შემკრთალნი უჭვრეტდნენ და უგემურად აქნევდნენ თავს. მას ქალაღღის პატარა ნაგლეჯი ეჭირა ხელში, ნაწერი ოფლსა და ქონს გაელეგებინა, გაეხრიშა, უძნელდებოდათ ამოკითხვა. ჩაღხია არ ერიდებოდა: გულიანად დააკვირდებოდა ქუჩაში შემოხვედრილს, შეამჩნევდა თუ არა ქართველობას, წინ გადაუდგებოდა, შემკრთალ მოქალაქეს ქალაღღის ნაგლეჯს გაუწოდებდა, მომეხმარეო, შეეხვეწებოდა.

წაიკითხავდნენ. თავს გააქნევდნენ. მხოლოდ ერთხელ შეხედავდნენ ჩაღხიას, იუკადრისებდნენ მასთან დგომას და გაშორდებოდნენ...

ქუჩა უფროდაუფრო ივსებოდა ხალხით, უფრო ძნელი ხდებოდა ადამიანებისათვის გვერდის ახვევა. ბოლოს გარიყეს, ქვაფენილიდან შუა ქუჩაში გადაადგეს, უსტვენდნენ, უკიოდნენ, ზარს უკრავდნენ; გარბოდა. აწყდებოდა აქეთიქეთ. ლანძღავდა: მეეტლებს, მედროგეებს, „კონკას“ და ადამიანებს. ირჩევდა ვიწრო, მიხვეულმოხვეულ ქუჩას და როგორც იყო სადგურში აღმოჩნდა; ვიღაც მაღალი ტანის ქართველს გადაუდგა წინ, ჩაღხიასავით ჯმუხი იყო, ტანმკვრივი და ცუდათჩაცმული. კოჭლობით ამოკითხა მისამართი, ჩაიფიქრა რაღაცა, ოღნავ გაიღიმა.

— ვიცი! — თქვა თავისთვის, — ცოტა ხანს მომიცადე, მე ახლავე შოვალ, მიგიყვან იმ კაცთან. — უთხრა ჩაღბიას. ქალაქი ისევ უკან მისცა და ჩქარი ნაბიჯით შეერია ბროზში.

ჩაღბია დიდხანს უცდიდა, ფიქრით და დაღლილობით თავი გაუბრუნდა, მუხლები დაუსუსტდა, — წინაღობით ჩასადილევი იყო, ცარიელი პურნაქამი და აი, მეორე დღე ღამდებოდა, შუა დღე გადასული იყო, უხში არ ენახა. თანაც უცნაური რამ აღონებდა, თითქოს ვიღაცა ეძახისო. ადამიანთა ხმაური ერთმანეთში აირია, მიმოსვლამ თვალი მოსტაცა, ქუჩები ირგვლივ შემოუტრიალდნენ. ძალითლა იმაგრებდა თავს. მწყრალად აკვირდებოდა ცხვრის ფარასავით ქვაფენილზე გაშლილ ხალხს, — უსაქმოდ ეჩვენებოდა ყველა, ქვეყანას ესენი თუ სჭამენო, ბრაზობდა. მოსწყინდა დგომა და უცნობის ლოდინი.

— მომატყუა იმ ეშმაკ! — გაიფიქრა წყენით. წასვლა დააპირა და ამდროს უცნობი კვლავ მასთან გაჩნდა, მომყვილი, უთხრა ტკბილის ხმით, თავათ წინ გაუძღვა, უცნაურად მიიკვლევდა გზას ხალხში. ფრთხილად გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე. ჩაღბია ხან გვერდზე ამოუდგებოდა, ხან ნაბიჯში ჩაუდგებოდა და ხალხის სიმრავლით შემკრთალი წაუჯიკავებდა მალიმალ. გაიარეს რამდენიმე ქუჩა და ბოლოს უმზგავსო შენობას რასმეს მიადგნენ. ჩაღბია ჯერ შენობის შემოურვამ გააკვირვა, შემდეგ ხმაურმა, შენობიდან რომ ისმოდა, — ვითამ დევების სამჭედლო იყოსო, ჩაიფიქრა მან და წინ მდგომს ექვის თვალით შეხედა: სადმე მიყვივარო, გაიოცა. ეზოს კარებთან გამხდარი კაცი გადაუდგა წინ, — შიგნით შესვლის ნებას არ აძლევდა. ჩაღბიას ბრაზი მოუვიდა: სტუმრებს სხვა ვინ გადასდგომიაო წინ; ხოლო უცნობმა ფიცრის მაღალ „ყუთში“ შეყო თავი და პატარა ქალაქი რომ გადმოიტანა, გაუწოდა მეკარეს და შენობის ფართო ეზოში შევიდნენ.

იმათ გაიარეს გრძელი დერაფანი და ვილაცასთან მივიდნენ.

— გამარჯვებუ, მიხავ! — მიესალმა მას უცნობი. — აი ის კაცი. — უთხრა ჩაღბიას.

მას დიდი ქლიბი ეჭირა ხელში, წელში ორადმოხრილს ფიხი წაედგა წინ, — პრტყელ რკინას ქლიბავდა. წუთით მიანება სამუშაოს თავი, დინჯად შემოტრიალდა.

— რა გნებაეთ? — იკითხა მან, და რა ხეცურულ ტანისამოსში გამოწყობილი ჩაღბია იხილა, ყურადღებით შეათვალიერა.

ჩაღბია გაოცებით უჭვრეტდა მის სანდომიან სახეს, — არასოდეს ენახა ისეთი მშრომელი, არც ისეთი ჩაცმა, არც ისეთი დიდი სამჭედლო, თითქოს ვერ გაიგონაო შეკითხვა, პასუხი არ გაუცია, უხმოდ აშტერდებოდა ხან მიხას, ხან მის მახლობლად მდგომ შავ ფიგურას, გაეარვარებული რკინა რომ დაედო წინ, სახეზე რაღაცა აეფარებინა, ახლოდან აკვირდებოდა გაშანთებულ რკინას, გაზომილად სცემდა ჩაქუსს და წვრილი ნაპერწკლები წვიმის ცვარებივით იშლებოდნენ ჰაერში და შრიალებდნენ ოდნავ. რკინა იქედებოდა ირგვლივ, რკინის სუნი ტრიალებდა შენობაში, რკინა ეფინა ფეხთ ქვეშ და რკინით გაქვნილი თილი მოეჩვენა ჰაერი ჩაღბიას.

— ჩემთან გქონდათ საქმე თუ? — მეორედ იკითხა მიხამ, ოდნავ ნაწყენობა დაეტყო სახეზე.

— ჰო! — უპასუხა ჩაღბიამ. პატარა ქალაქი გაუწოდა. მიხამ გაიღიმა, ქალაქში თავის მისამართი და სახელგვარი ამოიკითხა.

— მერე! — თქვა მან.

— ვასომ მომასწავლა შენთან...

— ვასომარ?...
— პო...

— მოითმინეთ!.. ვასოსთან ზომ არ ყოფილხართ ამ მოკლე ხანში!

— კი...

— ვიცი... — გაიცინა მიხამ და ჩაღბიას მომყოლს მიმართა:

— ზაქრო, თუ ძმა ხარ, ეს კაცი ჩემ ოჯახში მიიყვანე, შენც იქ მომიცადე, სულ მალე მოვალ...

— კეთილი... — თქვა ზაქრომ, წასასვლელად მოემზადა. ხოლო ჩაღბიას შეეყოყმანდა, რალაცის თქმა სურდა. მიხამ მიუხვდა:

— იქ, იქ მოვილაპარაკოთ! — უთხრა მიხამ და მუშაობა განაგრძო.

ჩაღბიამ და ზაქრომ რამდენიმე ქუჩა გაიარეს, ხიდს გასცდნენ და ფერდობს შევედნენ. ქუჩის ბოლოს თეთრ შენობების წინ გაჩერდნენ. ზაქრომ კარებს მიუახლოვდა, კარების მახლობლად დამაგრებულ მავთულს ჩამოკრა ხელი, დერეფნიდან ზარის ხმა გაისმა. ფინიამ წამოიყეფა, ბავშვი ახმაურდა, ვილაცამ აივანზე გაირბინა და გაჩუმდა ყველაფერი.

ჩაღბია გაკვირვებით უჭკვრეტდა ზაქროს და ვერ მიმხვდარყო რა სურდა მას, უნდოდა ეკითხა შედგომის მიზეზი და ამ დროს კარები გაიღო, ქერა ქალი გადმოდგა ზღურბლზე, ზაქროს მიესალმა და გაკვირვებით დაუწყო ჭკვრეტა ხევსურს, მაგრამ ხანი არ დააყოვნა: სტუმრები შინ შეიპატიჟა. ზაქრო შეეყოყმანდა, ხოლო ჩაღბიამ აღარ დააცალა: თავად შეუძღვა წინ. დაფილალეო, ჩაღბიას პირდაპირ ოთახში შევიდა. ოთახი, სადად იყო მორთული, სიღარიბის იერი გადაკრავდა ყველაფერს. ჩაღბიას გული დაუმშვიდდა და მოეჩვენა, რომ ამ ოჯახში უწინაც ყოფილა, პურმარილი მიუღია და უმეგობრებია. არც დიასახლისის გაპკვირვებები ჩაღბიას სტუმრობა: სოფელელები ხშირად მოდიოდნენ მიხასთან ისხდნენ და ღუბჭორ ცხოვრებას უჩიოდნენ, ხოლო ერთი დამხდური უყურებდა აღმაცერად ჩაღბიას: პატარა გოგონა კობტად მორთულ დედოფალს ეჩურჩულებოდა:

— ალ იტილო, ალ იტილო, თოლე აი, იმ კაცს ხომ ხედავ... — თავათ შემკრთალი შეავლებდა თვალს ჩაღბიას ტანზე ქარქაშდამტერეულ ხანჯარს...

ჩაღბიამ ყური მოჰკრა ბავშვის საუბარს, გაიცინა, მაგრამ ის სიცილი კი არა, ტირილი იყო, მწარე სიცილით შენიღბული: ბავშვის ხმამ პატარა ლომნი გაახსენა, ჩაღბიას ყურებში გაუწვილა მისუსტებულმა ხმამ და ლომნის ფერმკრთალი სახე დაუდგა წინ: „მშვივა“... რომ ამბობდნენ ბავშვის მიბნედილი თვალები... წუთით დანგრეული ბუდე გაიხსენა და ცივმა ჟრუანტელმა შეაჟრჟოლა...

ამ დროს დიასახლისი ზაქროს ოჯახის ამბებს ეკითხებოდა, ლულუნა ხმა ჰქონდა საამო; ნაწყენობა შეამჩნია მან ჩაღბიას, ჩემი ბრალია ჩაიფიქრა და ზაქროსთან საუბარი შეწყვიტა:

— რისთვის ჩამოხვედი ქალაქში? — ჰკითხა ჩაღბიას და ტკბილად გაუღიმა.

ჩალხიას ფიქრები გაეფანტნენ. შუბლი გაეხსნა.

— აბა რა ვიცი... — უპასუხა მორიდებით.

— იქნება მთავრობასთან გქონდათ საქმე?

ჩალხიამ უგემურად ჩაიციხა:

— მთავრობაში აბა რა მესაქმების... მე მიხავ ნახვა მსურდა. ვასომ მომა-
კწავლა მასთან...

დიასახლისმა სერიოზული სახე მიიღო, ახლა უფრო ყურადღებით დააკ-
ვირდა სტუმარს.

— საიდან იცნობ ვასოს? — ჰკითხა დაეჭვებულმა.

— ძმობილია ჩემი, მაგრამ... ძმობილობა ვერ გავუწიე. ნეტავ სად არის
ახლა!...

ზაქრომა და დიასახლისმა ერთიმეორეს შეხედეს, შემდეგ დიასახლისი თვა-
ლებში დააკვირდა ჩალხიას: საიდუმლოს ამოკითხვა სურდა.

— მე ძალიან გულით მსურს ნახვა, უნდა მოენახო სად გინდა არ იყოს...
სვინდისი მტანჯავს: ვაჟუცობა დავიფიცე და...

ამბობდა ჩალხია.

არავინ პასუხობდა.

— გინდა ციხეში იყოს ვნახავ, ციმბირშიც წავალ...

— თუ ეგრეა, რალად დააქერიეთ! — ჩაილაპარაკა დიასახლისმა.

ჩალხია შეკრთა. ხმა აღარ ამოუღია. ნამალევად შეხედა ზაქროს, — იგი
ჩაფიქრებული რადმე იყო. ჩალხიას აზრად მოუვიდა: თავი გაემართლებინა,
მაგრამ აღარ დააცალეს:

— დღეს სტუმრებს ველით. — თქვა დიასახლისმა, საათს შეხედა და აჩქა-
რებული ნაბიჯით წავიდა სამზარეულოსკენ, კარებთან შედგა:

— სტუმარს არ მოაწყინო! — გადმოსძახა ზაქროს და კარები მიიხურა.

ზაქრომ ისევე ვასოს შესახებ ჩამოუგდო ლაპარაკი ჩალხიას:

— მაშ ვასო ძმობილი იყო შენი? — ჰკითხა მან და გაუღიმა.

— დიად... — უპასუხა ჩალხიამ. ლეგა ფერმა გადაჰკრა სახეზე.

— მგონი ვილაც გოგოს მიუძღოდა ბრალი მის დაპატიმრებაში.

— ჰო... მეც...

— კი მაგრამ...

— დიად... მეც!... ეხლა მინდა... — ველარ დაბოლოვა აზრი ჩალხიამ: მიხა
და ვილაცა უცნობი შემოვიდნენ ოთახში. ყველაზე ადრე კუთხეში მჯდომი
ბავშვი წამოხტა ფეხზე, მწყრალად გაირბინა ჩალხიას წინ და მამას მუხლებზე
შემოეხვია. მიხა დაიხარა, აიყვანა ბავშვი, მიუღლესა, შემდეგ სტუმრებს მიე-
სალმა კვლავ და ჩალხიას მახლობლად დაჯდა. უცნობი კარებში შემოსვლის-
თანავე შედგა, უხერხულობა რამ იგრძნო, ჩალხიას დააკვირდა, მისკენ წაეძრა
ნაბიჯი, თითქოს გადახვევა სწადიანო, მაგრამ თავი შეიკავა, დინჯად ჩამოარ-
თვა ჯელი დამხვდურებს. მიხამ და ზაქრომ ჩუმად რალაცა ჩაილაპარაკეს, ხო-
ლო ჩალხიამ უცნობი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და გაკვირვების იერმა
გადაჰკრა სახეზე, კვლავ შეათვალიერა, მხრები შეიჩეჩა და ჩაფიქრებულმა მი-
წას დაუწყო ქვერტა.

მიხამ ჩალხიასთან ჩამოაგდო საუბარი: მთის ამბები ჰკითხა და შემდეგ
ისევე ვასოს ამბავს დაუბრუნდნენ:

— საინტერესოა... — ჩაილაპარაკა მიხამ. — სიფრთხილე გეგმართებს: შენ მჯონი გიგოს სამაგიერო გადაუხადა... კაცისმკვლელობა კარგი საქმე არ არის, მაგრამ რას იზამ... ჩვენ სხვანაირათ გვიყვარს ხოლმე ბრძოლა...

ჩაღბია მორცხვად დააკვირდა მასპინძელს.

— ცუდი დრო დადგა, ჩემო ხევსურო, ახლა სიმწარის მეტს ვერაფერს იხილავს მშრომელი: შიმშილი, სიტუტველე, დაპატიმრება, ათასნაირი შეურაცხყოფა ბურჟუაზიით გვახვევია თავს, მაგრამ მზე გამოჩნდება როდისმე და გაჰფანტავს სუსხიანობას. — ამბობდა მიხა, თანაც ბავშვს ეალერსებოდა: შავ თმაზე უსვამდა ხელს და იღუმლად იხუტებდა მკერდზე. — შენ მთიელი ხარ, — განაგრძობდა იგი. — მთიელები მინდობილი ხალხია, ასეთ საქმეში კი... ხომ ნახე რა უბედურება დატრიალდა ვასოს თავზე სულ უბრალო ლაპარაკით. მე ვიცი, შენ ვასოს და მის ამხანაგებს არ გასცემდი, ის ამბავი შენდა უნებურად მოხდა, მაგრამ ახლა კი... იფრთხილე.

— დიად. მე გიგომ მომატყუა, მაგრამ სამაგიეროც მიიღო იმან! — ამაყად სთქვა ჩაღბიამ, — ვაჟკაცობას გეფიცებით კვლავაც ასე გახდების. მე მინდა დღეის შემდეგ, თუ ამხანაგად მიმიღებთ, ერთგულება დავამტკიცო საქმით. ვასო კი... ოდესმე ვნახამ იმას, ვეტყვი ყველაფერს, როგორც მოვტყუედი, რა გავაკეთე და მგონი მაპატივოს... თუმცა იმან უწინაც ვაჟკაცობა მითავდებდა და მე, ცუდმა, ვერ გავამართლე იმედი...

— მაშ შენ ძალიან გინდა ვასოს ნახვა?! — იკითხა მასპინძელმა და უცნობს მიმართა: — რადგანაც ჩვენი ხევსური ასე სწუხს, ბარემ მოუყევი ვასოს ამბავი. მე კი... ახლავე მოვალ. — ადგა მიხა და ბავშვით ხელში გავიდა სამზარეულოში.

ოთახში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრები თვალებით ზომავდნენ ერთიმეორეს. ნელი სიცილი ისმოდა სამზარეულოდან — დიასახლისის ხმა იყო საამო.

ზაქრომ დაარღვია სიჩუმე:

— შენ იცი რამე ვასოს შესახებ თუ? — ჰკითხა უცხოს.

— დიად!

— გვიამბე თუ ღმერთი გიშველის! — შეეხვეწა გახარებული ჩაღბია.

— დიდი სიამოვნებით. — თქვა უცნობმა, ჩაღბიას ხელს ხელი მოუჭირა ოდნავ. ჩაღბია შეკრთა, გაცეებით შეხედა უცნობს, უცნაურმა ჟრუანტელმა გაუარა ტანში, — ნაცნობად მოეჩვენა ხელის მოჭერა, მაგრამ რა მოსაფიქრებელი იყო: მის წინ იჯდა სრულიად უცნობი სახის კაცი, ჭალარა, სახე დანახვეული, დამტვრეული ხმით რომ ამბობდა:

— ეს ამბავი ერთმა ნაცნობმა მიამბო, რომელიც ვასოსთან ერთად დაპატიმრეს იმ საღამოს, მაგრამ შემდეგ გათავისუფლდა, ნაცემი, მთავრობის სიძულვილით გახელებული, დაბადების დღეს რომ სწყყევლიდა მარად. აი, დაიჭირეს ვასო, — ამბობდა იგი, — ორ ამხანაგთან ერთად ჩასვეს სამაზრო ციხეში, შემდეგ მოიწადინეს მათი ქალაქში გაგზავნა, გააყოლეს ჩაფრები და ნაცვალ-მამა-სახლისები...

მიდის ვასო, უყურებს მთვარეს, არილად რომ ანათებს ქართლის მიწის, ვარსკვლავების გაბრწყინებულ სახეებს... რამდენ უწესოებას ხედავენ ისინი ქვეყანაზე!... რამდენ საშინელების მოწამეა მთვარე, თუნდაც აი ახლა: გზას

მიუნათებს ტუსაღებს: არ აერიოსო ციხის გზა, ჩაიკეტნენ ოთხ კედელ შორის და მერე... მერე ვინ იცის ნახავენ თუ არა ისინი ამ მთვარეს, იმ ვარსკვლავებს, მთელ მიდამოს, ყვავილებით, მწვანე ტყეებით, ჯეჯილებითა და ანკარა წყაროებით შემკობილს, თავისუფლება რომ აწერიათ ყველას მოღიმარე სახეებზე...

მიდის ვასო, მისჩერებია მთვარეს და ფიქრობს: დიად, ვასო ციხეში უნდა ჩაჯდეს, მაგრამ... ვასოს ჰყავს ამხანაგები, ხელმძღვანელები, რომელთაც დღე-ღამე არ ძინავთ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. აი, ვასოს უპირველეს ყოვლისა გაახსენდა კობა... — ამბის მომყოლი სახელის ხსენებაზე შეკრთა, აქეთიქეთ მიიხედმოიხედა, ზაქროს მორიდებით შეხედა... ისიც გაკვირვებით უყურებდა, ჩაღბია მათ გაკვირვების მიზეზებს ვერ მიმხვდარყო, ვასოს ამბებით გატაცებული სულგანაბული უგდებდა ყურს და ეხვეწებოდა ამბისმომყოლს: განაგრძეო ამბავი. განაგრძობდა:

— ჰო და, ფიქრობს ვასო: ქვეყანა ჩაღბით ხომ არ არის დახურული, ხალხის პატრონები იბადებიან, იზრდებიან, მზეს სხივებს სთხოვენ, ქვეყნად ჩამობანდიო ევედრებიან, ღამეს გაურბიან, დღეს თუ ხვალ ქვეყანას გაათბობენ, თუნდაც კობა... დიად, კობა! კობას ესენი ხელს ვერ ჩაიგდებენ; კობა ხალხმა დაზადა, იგი ყველას გულშია ყველას სილაღეა, სიტყვა მისი მზის სხივია, აზრი — ბასრი მახვილი ბრძოლაში, გული რკინა ფოლადისა... გინდაც ჩამოახრჩონ ვასო, ასოასო აკუწონ, მას არ გასცემს, — კობას სახელი გულით ჩაჰყვება, ძვალთ დაეწერება და იქაც საიდუმლოდ ექნება შენახული... არა, არასოდეს არაფრის არ იტყვის პოლიციაში კობას შესახებ: კობამ უნდა უშველოს ხალხს, იგი ამისთვის გამოგზავნა მზემ ქვეყნად... მაგრამ რატომ თავისუფალი არ არის ვასო!.. რისთვის უნდა იქნეს იგი ციხეში!.. ციხე სძულს მას, ციხე უნდა დაინგრეს, — ციხე თავისუფლებისმოყვარულთ ამწყვედევს თავის ქანგიან კარების უკან... თავისუფლება!... თავისუფლება!...

მიდის ვასო, უყურებს მთვარეს და ფიქრობს: მამ ახლა ციხეში უნდა იჯდეს ვასო... ლაღად გაზრდილია ბუნებაში, ლაღად სურს ცხოვრება მას, — თავისუფლება უნდა, კანონის სისწორე უნდა, სიტყვის თავისუფლება უნდა... გამგებლებული ვასო აქეთიქით იყურება იღუმლად: გრძელი თემშარა გაწოლილა მინდორზე, ვერცხლისფერი რომ გადაჰკრავს ოდნავ, აი მტკვარიც და მისი ნელი დუღუნი, მოშორებით ტყე ჩაბურვილი, მუდამ გულჩამხედავი და ჩქროიანი... ტყე, ტიალი, მწუხარე ვაჟაკივით... ვასო მიდის და ტყისკენ იყურება, თითქოს ტყიდან ეძახისო ვიღაცა და მას ტყეში ეგულება საფარველი, — გული იქით მისწევს. მიდის ციხისკენ და მუხლები აღარ ემორჩილებიან: ტყე, ტიალი ტყე!... აი ნიაგმა ჩამოუქროლა ტყიდან, ახალგაშლილი ფოთოლთა საამო სუნი ჩამოიშალა... ტყე დაფოთლილა და ვასო!.. აი მიუახლოვდნენ მაღალ ბექობს, ბექობის გარშემო ხშირი ტყე არშისავით შემოხვეული, გზა ვიწრო, მოღუშული უღრანი. ვასო მგელდება: გული ტყისკენ მისწევს, წუთით მისი ფიქრები ქალაქში გადადიან, კობას სახე დაუდგება წინ, უღიმის, მაგრამ შუბლი შეპკვრია ოდნავ... ვასო ხელდება, მუხლები მქისდებიან: კობა ეძახის ვასოს!.. ხალხისთვის ეძახის მას, თავისუფლებისკენ მოუხმობს იგი და წუთით სიჩუმე, მკვდრული სიჩუმე წვება შარაზე, სიმარტოვე და უშიშროება თითქოს ქვად იქცაო გული, მთვარე გაუჩინარდება, მტკვარი შხუის, ვიღაცა ტუსაღი ამღერდება და

გალაღებულ ვასო ნახტომს აკეთებს... ტყის შრიალი. კვილი და... თოფების გრიალი. ყველაფერი წუთით, ყველაფერი სასწრაფოდ და შემდეგ სიჩუმე, კვლავ სიჩუმე... მხოლოდ მთვარე მიცურავს ცაზე, მხოლოდ მტკვარი მიდუღუნებს და ტყე ჩურჩულებს იდუმალი ხმაურით თითქოს ვასოს ესალმებაო... — ამბისმომყოლი შედგა. გახელებული ჩაღხია ფეხზე წამოხტა.

— რა დაგემაართა ვასო?! — იკითხა შემკრთალმა.

უცნობმა ჩაიციხა, ჯერ უძრავად იჯდა, შემდეგ შემოტრიალდა და ხელები სწრაფად მოისვა სახეს. რა საოცრება და რა შიში: კაცი გადაიქმნება და ვასო დგას ჩაღხიას წინ!..

— ვასო! — ყვირის შემკრთალი ჩაღხია. ვასოს დაეჯახება, გულში ჩაიკრავს და ქვითინებს, ქვითინებს.

ამ დროს კარები გაიღება: პირმოლიმარი დიასახლისი და მიხა შემოხდიან... ოთახში გაოცება და სიცილი, სიცილი და გაოცება: ზაქროს ვასოს პარიკი უჭირავს ხელში და იცინის, იცინის ჩაღხიას.

დილით მიხამ ჩაღხიას ერთი ხელი ტანისამოსი აჩუქა: ხევესურულ ტანისამოსში ყველას თვალში მოხედებო, გააფრთხილეს. შემდეგ მიხამ იმავე წარმოებაში მოაწყო იგი, სადაც თავათ მუშაობდა და ზაქროს დაავალეს: წერაკითხვა ესწავლებინა ჩაღხიასათვის, ხოლო ჩაღხია და ვასო კვლავ მეგობრები დარჩნენ. ვასო თუმცა იმალებოდა და ჩაღხიასაც ეშინოდა დაპატიმრებისა, მაგრამ ერთიმეორეს მაინც ხშირად ხედებოდნენ. ვასო მიდიოდა სოფელში, მიჰქონდა რაღაც საიდუმლო ამბავი და სოფლის ამბები ჩამოჰქონდა მეგობრებთან. ჩაღხია მუდმივად ქალაქში იყო, ბევრი რამ ისწავლა, ბევრი საინტერესო რამ გაიგო, მაგრამ ერთი დარჩა სანატრელი: ენახა ის ადამიანი რომლის შესახებაც აქიქ ესმოდა ლაპარაკი მუშების მიერ: „ამხანაგი კობა იყო!“... „ამხანაგმა კობამ თქვა!“... „ამხანაგი კობა მოგვიწოდებს!“... „ამხანაგი კობა არ მოგვიწონებს!“... და სხვა.

— ვინ ას კობა? — კითხულობს ჩაღხია და ნატრობს მის ნახვას, მაგრამ არავინ აძლევს სწორ პასუხს: თვალის ჩინივით ინახვენ ამ კაცის სახებს...

— საოცარი ას!.. დიდო არხვატის ჯვარო, ვინ უნდა იყოს!..

ჩაღხიამ იცის, რომ კობა მუშებთან არის, მუშების ჭირვარამს იზიარებს, მუშები მის სიტყვას მისდევენ, მის გამოისობით რაღაც ამბავი ხდება, ამბავი უჩვეულო, მაგრამ ჩაღხია!.. ჩაღხია გაირიყა: აღარავინ ენდობა მას!.. მართალია, ჩაღხია მუშებთან ერთად შრომობს, მათ ჭირვარამს იზიარებს, ცხოვრება შესცვალა, სხვის გვარ სახელზე ჩაეწერა, თავი ახლადდაბადებულად ჩასთვალა, მაგრამ ვასო ამას ეუბნებოდა: ისევ ჩაღხია ხარო და საიდუმლოს არ უმხელდა...

ერთხელ ჩაღხიამ დრო იხელთა: ვასოს და მიხას ჩამოუგდო საუბარი:

— მართალია, მე მთიელი ვარ, ახლა მჭედელი გავხდი, მაგრამ... მუხლები მისუსტდების, გული მიდნების... აქამდე ჩემი თავი ვაუკაცად მეჩვენებოდის, პატივი დამდვიან, საიდუმლო გამანდვიან, საქმე გამაკეთებდიან ახლა... ახლა კი... მარტო ვარ დამრჩალი, მარტო... ობოლივით დავიარები დაძმების შორის... ყველა მეგობრად მიმჩინხართ, ყველასაგან რასამ ვსწავლობ, ყველას რჩევას მივყვები და თქვენ კი... არ მენდობით... გამირბით, საქმეში მერიდებით. მე მინდა თქვენთან ყოფნა, თქვენი საუბრის მოსმენა, იმ კაცის ნახვა, ვისი სახელიც დაუეწიყარი ხდების!.. ნუ!.. ნუ მიშვრებით მაგას, ცოდვა ვარ, ხელი მი-

ციდეთ, გამიყოლიეთ ცხოვრების გზაზე, თორემ უფსკრულის პირზე ვდგევარ და ერთი თვალის მოხუჭვა საკმარისია დაღუპვისათვის... მე ვაჟკაცი ვარ, თავი კაცად მიმაჩნია, ცუდი თქვენთვის არაფერი ჩამიდნია, ნუ მერიდებით!... შე მინდა კობა ვნახო, მისი საუბარი მოვისმინო... გული იტანჯების, გული, კარგებო, ხელი მკიდეთ, სცადეთ ჩემი ვაჟკაცობა და მერე ვნახოთ, მერე ვინ ივაჟკაცებს... თქვენ გამომცადეთ: საქმე მომეცი, რაც გინდა დამავალეთ... მე აღარავარ ის ჩაღნია, ვასოს რომ ვესტუმრე ქართლში, საზიზღარმა გიგომ რომ გამაბრიყვა... ახლა ცხოვრებამ მომცა ვაკვეთილი და მწვრთნა გაუგონარ შვილივით...

მიხას და ვასოს კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ, ბოლოს მიხამ თქვა:

— ვნახოთ. საქმე გვიჩვენებს შენს ვაჟკაცობას, მაგრამ გაფრთხილება: ჩვენთან ლალატი არ გეპატივება.

— ეგრე ნუ მიცნობთ! — თქვა ჩაღნია და სიძწარით ფეხზე წამოდგა. მიხა ჩაფიქრდა.

— მაშ კარგი. დღეს საღამოს თერთმეტ საათზე ჩემთან მოხვალ სახლში, იქ მოვილაპარაკოთ. — თქვა მან და დაიშალნენ.

ო!.. ის დღე! რა დიდად მოეჩვენა დღე ჩაღნიას!

საღამოს მოლოდინი უსაზღვრო იყო, გული ამოდ უცემდა თითქოს ახლად იბადებო ქვეყნად; მზეს უღიმოდა, მზეს დაბრძანებას სთხოვდა. ცაზეამომხტარ ვარსკვლავს ადევნებდა თვალს, დროს ეკითხება ამხანაგებს და ერთი საათი წელიწადად ეჩვენებოდა. როგორც იყო დადგა წასვლის წუთები. ფრთხილად გამოვიდა ქუჩაში. აქეიქით იხედებოდა, თვალყურს ხომ არავინ მადევნებსო, საკუთარ თავსაც კი უფრთხოდა იგი. არასოდეს ყოფილა ჩაღნია ასეთი ფრთხილი. მიხას სახლამდის სულ მოუთმენლად იარა. კარებთან შეჩერდა, სუნთქვა შეინელა და მოხატობით დარეკა ხარი. კარები დიასახლისმა გაუღო, ღიმილით შემოეგება, ერთი მეორეს მიესალმნენ და აჩქარებით შევიდა ჩაღნია ხალხით სავსე ოთახში. სწრაფად შეათვალიერა იქ მყოფნი, ბევრი მათგანი ნაცნობი იყო. მაგრამ ერთი... ერთზე შეჩერდა მისი თვალები, უმაღ ვასოს ქოხი გაახსენდა: იქ ნახა იგი პირველად, მაგრამ სახელი... სახელი არ იცოდა. დაიბნა ხევსური...

ამ დროს მასპინძელი წამოდგა ფეხზე:

— აი ის ხევსური, ამხანაგებო! — მიმართა მიხამ იქ მყოფთ.

ყველანი ერთხმად მიესალმნენ ჩაღნიას, მაგრამ იგი კვლავ ერთს აკვირდებოდა...

— ეგ არის ჩვენი კობა, ამხანაგო ჩაღნია! — უთხრა მასპინძელმა ღიმილით.

— ვიცი... — თქვა მან, მან კი არა, გულმა თქვა მისმა, იგიც დაეთანხმა და გახარებულმა ყველას ხელი ჩამოართვა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ამხანაგო! — თქვა კობამ ისეთნაირად, თითქოს იგიც იცნობდა ჩაღნიას. ყველამ ღიმილით დაუდასტურა ეს სიტყვები და სასაუბრო განაგრძეს...

ჩაღნია მიხას მოუჯდა გვერდზე.

— მოუსმინე! — ნელი ხმით უთხრა მიხამ.

ჩაღნია სმენად გადაიქცა.

გორის წარსულიდან

გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა წრე
იოსებ ჯულაშვილის ხელმძღვანელობით

გორის რკინიგზის სადგურიდან ქალაქ გორისაკენ რომ წახვალთ, ხიდის გავლისთანავე გადახვალთ ლენინის ქუჩაზე (ყოფილი სამეფო ქუჩა), ხიდიდან მარცხენა ნაპირას იდგა ორსართულიანი დიდი შენობა მრავალი ოთახით. ეს შენობა ახლადაგებული იყო და თავის სილამაზით გავლელთა ყურადღებას იპყრობდა. ეს იყო ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის შენობა. ამ სასწავლებელს დასავლეთით დიდი ეზო ჰქონდა, რომელსაც ჩამოუდიოდა მღ. მტკვარი და ლახვი. შენობის ოთახებიდან დიდიდან საღამომდე ისმოდა მოსწავლეთა შეუწყვეტელი ჟივილხივილი.

ასე იყო 1889 წლის შემოდგომაზე სასწავლო წლის დასაწყისშიც.

„კარგად მახსოვს, — სწერს თავის მოგონებაში ვანო კეცხოველი, — ენკენისთვის მიწურული, მზიანი დღე. მთელი სკოლის მოწაფეები, დიდი და პატარა შესვენებისას ყველა გამოშლილიყო სკოლის ეზოში. ეზოს ერთ კუთხეში შეგროვილიყვნენ ჩემი განყოფილების (საშუალო მოსამზადებელი) მოწაფეები და მეც გავეჭანე მათკენ.

მისვლისთანავე შევამჩნიე, რომ მოწაფეების შუა იდგა ჩემთვის სრულიად უცნობი ბიჭი, გამოწყობილი მუხლებამდე გრძელ შავ ახალუხში, ახლად შეკერილ ყელიან ჩექმებში. წელზე შემოკერილი ჰქონდა ტყავის პრტყელი ქამარი. თავზე ეხურა შავი მაუდის კარტუზიანი ქუდი. ტანად გამხდარი იყო, სახე ოდნავ ფერმკრთალი, ეს იყო ამხანაგი სოსო ჯულაშვილი“¹)

სასწავლებელში შესვლის პირველ ხანებიდანვე იოსებ ჯულაშვილმა მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, როგორც კარგმა მოკრივემ, მოჭიდავემ, მობურთავემ, საუკეთესო მოწაფემ და შესანიშნავი ხმის პატრონმა. გიორგი ელისაბედიშვილი იგონებს:

„ვინ გაიმარჯვა კრივში? — სოსომ, ვინ წააქცია ქილაობაში ამხანაგი? — სოსომ. ვინ გაითრია წრიდან მოხერხებულად ქამარი და რივიანად აუხურა ფეხები წრეში მდგომს? — სოსომ; ვინ გაჰკრა ყველაზე შორს ბურთი? — სოსომ, ვინ კითხულობს ყველაზე მეტ წიგნებს? — სოსო, ვინ არის ამხანაგური გრძნო-

¹ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 99:

ბით ყველაზე მეტად გატაცებული? — სოსო, ვინა სწავლობს ყველაზე უკეთესად? — სოსო, ვინა მღერის ყველაზე ტკბილის ხმით და მოხდენილად? — სოსო“.)

სასწავლებელში სულ მალე იოსებ ჯულაშვილის გულმოდგინე მეცადინეობით მოწაფეთა ლიტერატურული წრე იქმნა ჩამოყალიბებული. ამ წრეში იოსებ ჯულაშვილის გარდა შედიოდნენ: დ. გოგობია, პ. კაპანაძე, მიშა დავითაშვილი, ვანო კეცხოველი, კოტე ჩუტკერაშვილი, გ. გლურჯიძე, ალექსანდრე ციხითათრიშვილი, გიორგი გიგიტაშვილი, სოსო ირემაშვილი, ვასო ხახანაშვილი, სანდრო კაციაძე, პეტრე ადამაშვილი და სხვანძ.

ხსენებული წრის წევრნი თავის ხელმძღვანელად სრულიად ღირსეულად თვლიდნენ იოსებ ჯულაშვილს და ისიც შეძლებისამებრ უძღვებოდა წრეს. აღნიშნული ლიტერატურული წრის წევრი ვანო კეცხოველი გვიამბობს:

„იქ, სადაც ამხანაგი სოსო გაჩნდებოდა ხოლმე, უეჭველად მის გარშემო შეიქმნებოდა მოწაფეთა ჯგუფები და თითქოს ბრძანებას ელიანო, ისე ვიყავით გამზადებულნი. მისი სიახლოვე როგორღაც ახარებდა და მასთან ყოფნის დროს უფრო მხნედ და თავისუფლად გრძნობდა თავის თავს ყველა ჩვენგანი.

ამხანაგ სოსოს უყვარდა წიგნების კითხვა. ხელში უჭირავს ი. ქავჭავაძის, ალ. ყაზბეგის და სხვების თხზულებები, კითხულობს მათ გაფაციცებით და მსჯელობს სხვადასხვა ტიპებზე. ეხლა (უფროს კლასში) ამხანაგ სოსოსთან მიდიან არა სათამაშოდ, არამედ მისი აზრის, შეხედულებების გასაგებად ამათუიზ მომქმედ პირის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ მისი გამოთქმული აზრი ჩვენთვის რატომღაც გადამჭრელი იყო ხოლმე. ვცდილობდით შეკამათებას, მაგრამ სასტიკად გვამარცხებდა მიუხედავად ამისა, უფრო მეტი პატივისცემით და სიყვარულით ემპოქვალეობდით მისდამი“.)

იოსებ ჯულაშვილი, როცა რაიმე კარგ წიგნს წაიკითხავდა, მაშინვე წრის წევრებს წანაკითხის შინაარსს გადასცემდა და თან ურჩევდა თვითონაც წაეკითხათ იგი. წრის ერთერთი წევრი — პეტრე კაპანაძე მოგვითხრობს:

„სოსო თუ რომელიმე რიგიანი წიგნის შესახებ გაიგონებდა რამეს, უსათუოდ იშოვიდა და წაიკითხავდა. ამასთანავე მას ერთი საუკეთესო თვისება ჰქონდა: თუ წაიკითხული წიგნი მოეწონებოდა, უსათუოდ ურჩევდა ამხანაგებს მათაც წაეკითხათ. მახსოვს ერთხელ ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილის“ წაიკითხვის შემდეგ ჩვენთან მოიბრინა, მაჩვენა წიგნი და აღშფოთებით მომიყვა იმ უკულმართობაზე, რაც მოთხრობაში იყო დახასიათებული“.)

მართალია გორის სასულიერო სასწავლებელს თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ სასწავლებლის ადმინისტრაცია მოწაფეებს ისეთ წიგნებს ურიგებდა, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ლიტერატურული წრის წევრთა განვითარების დონეს. წრის წევრნი იძულებულნი იყვნენ საკითხავი წიგნები ეშოვნათ სხვაგან.

„სასწავლებელთან, — სწერს თავის მოგონებაში გ. გლურჯიძე, — იყო ბიბლიოთეკა. როცა ჩვენ წამოვიზარდენით, წიგნების კითხვამ გავვიტაცა, მართელობა გვაძლევდა წიგნებს, რომლებიც არ შეეფერებოდნენ ჩვენს გემოვნებას და ამიტომ სათანადო ლიტერატურას საკითხავად ვმოულობდით არსენ

² მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 13.

³ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 99 A.

⁴ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 10.

კალანდაძისაგან, რომელსაც იმხანად გორში წიგნის დუქანი ჰქონდა გახსნილი. კალანდაძესთან ჩვენ ვმოულობდით აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავის და სხვათა თხზულებებს“¹).

განსაკუთრებული სიყვარულითა და გატაცებით ჰკითხულობდნენ ერთად შეყრისას ლიტერატურული წრის წევრები ილია ჭავჭავაძის „რამდენიმე სურათს ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებს. ვანო კეცხოველი იგონებს:

„ყველაზე ძრიელ გვიყვარდა „კაკო ყაჩაღი“, რომლის წაკითხვის დროს ცივი ქრუნტელი გვივლიდა ტანში, ზაქროს მოხუცი მამის გალახვის სცენას, ჩვენი თვალები ცრემლებით აუვსია. ალ. ყაზბეგის გმირები კიდევ პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა ჩვენს ნორჩ გულში.“²)

ლიტერატურული წრის ის წევრნი, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ხატვა ემარჯვებოდათ, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ისტორიულ პიროვნებების, კლასიკოსებისა და მათი გმირების დახატვაში. ამ შეჯიბრებაში იოსებ ჯულაშვილიც იღებდა ხოლმე მონაწილეობას.

„ჩვენს კლასში, — მოგვითხრობს პეტრე ადამაშვილი, — იყო ერთი ამხანაგი, თუ არ ვცდები ბასიშვილი, რომელსაც ხატვა ძალიან ეხერხებოდა. ის იყო ასე ვსთქვათ პორტრეტისტი, მოჰქონდა ხან ილიას, ხან აკაკის, ხან კიდევ ყაზბეგის სურათები, მაგრამ მთელი კლასის ყურადღება ბოლოს თამარ მეფის სურათით მიიქცია.

ეს გულში ჩავარდნოდა სოსოს. კლასში ისიც ხატავდა, მაგრამ ბასიშვილის თამარ მეფემ მასში აღძრა მეტოქეობის სურვილი. ერთი თვის განმავლობაში არაფერი არ მოუტანია ნახატებიდან.

აი, მინელდა თამარ მეფის სურათის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება, ბოლოს სულაც მივივიწყეთ. სწორედ ამ დროს შემოიტანა სოსომ შოთა რუსთაველის სურათი, კარგა ვეებერთელა ქალაღზე და შეუმჩნევლად შუა კედელზე ჩამოჰკიდა.

როცა თვალი შევაგლვთ, ჩვენ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, დამარცხდა ბასიშვილი, რომელმაც აღიარა, რომ ამხანაგად მე ვერ შევძლებ ამის დახატვასო. სურათი ყურადღების საგნად გადაიქცა. ნახეს მასწავლებლებმაც.

მასწავლებლებს არ სჯეროდათ, რომ ეს მისი ნახატი იყო. მაშინ გაჯავრდა სოსო და დასვენების დროს ყველას თანდასწრებით იგივე სურათი დახატა, ოღონდ უფრო მინიატურული სახით.“³)

1893 წელს, როცა იოსებ ჯულაშვილი გორის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში იყო, დაიწყო მზადება რაფიელ ერისთავის იუბილეს ჩასატარებლად. ლიტერატურულმა წრემ დაავალა იოსებ ჯულაშვილს დაეწერა რაიმე რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ. ამხანაგმა იოსებმა ეს დავალება მაშინვე შეასრულა. სამწუხაროდ იუბილემ ორი წლით დაიგვიანა. იგი გაიმართა 1895 წლის 22 ოქტომბერს, როცა იოსებ ჯულაშვილი უკვე ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მაგრამ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. ამხანაგ სტალინის მიერ გორის სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას დაწერილი რა-

¹ „Рассказы старых рабочих закавказья о Великом Сталине“ 1937 წ. გვ. 17, 8.

² მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 99.

³ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი ფონდი 34 საქმე № 292.

ფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი დაიბეჭდა 1895 წლის გაზეთ „ივერიის“ 29 ოქტომბრის ნომერში.

გრიგოლ გლუტრჯიძე ამის გამო თავის მოგონებაში სწერს:

„რაფიელ ერისთავის ოუბილე იყო გადასახდელი. ამხანაგებმა სოსოს დაავალეს ამის შესახებ რისამე დაწერა. არ მახსოვს რომელ გაზეთში, ამხანაგმა სოსომ მოათავსა ლექსი სხარტი და შინაარსიანი. მიუხედავად იმისა, რომ რაფიელი როგორც გლეხის მოსარჩლე, ბრძოლის გზას ვერ სახავდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, — ამხანაგი სოსო მაინც იწონებდა რაფიელს, როგორც აღმნიშვნელს გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობის. მაშინ ამხანაგი სოსო მესამე კლასში იყო.“*)

აი თვითონ ლექსიც:

თ. რ. მრისთავს

როს მშრომელ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული.
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავ-დადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სიმთ აჟღერებდი ტკბილ-ხმაზედ,
ვით ზეცით მოვლინებული;
როს დაჰგალობდი სამშობლოს;
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის წარმტაცი წკრიალი...
მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურ ძეგლს გიგებდა
და წარსულს შრომას, ვაებას
აწმყოთი ვიგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე, წმინდა მხცოვანო,
რაც სიყმით დაგითვისია;
წამლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
„ვაჰა, რაფიელ! გამრავლდეს
მამულში შენებრი შვილი!!!“*)

გორის სასულიერო სასწავლებლის ლიტერატურულ წრესთან ჩამოყალიბებული იყო სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც თავის წარმოდგენებს გორის გარეთაც აწყობდა. სცენისმოყვარეთა ჯგუფში ხანდახან იოსებ ჯუღლოშვილიც იღებდა მონაწილეობას. ვასო ხახანაშვილი ამხანაგ სტალინზე დაწერილ მოგონებაში ამის გამო სწერს:

*) მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 84.
*) გაზ. „ივერია“ 1895 წ. № 234.

„ერთ დროს ჩვენ გაგვიტაცა თეატრმა და ვიღებდით ხოლმე აქ მონაწილეობას სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. მახსოვს სოსო მეჩექმის ბიჭის როლში (ვალერიან გუნიას) ვოდევინ „არც აქეთ, არც იქითში“. უნდა აღენიშნო, რომ ამ როლს სოსო 13-14 წლისა სამაგალითოდ ასრულებდა. სცენისმოყვარეთა ჯგუფი, რომელიც უმთავრესად მოწაფეთაგან შესდგებოდა, წარმოდგენებს მართავდა არამარტო გორში, სოსომ აქტიური მონაწილეობა მიიღო წარმოდგენების გამართვაში ცხინვალშიც.“¹⁰)

აღნიშნულ სასწავლებელში სიმონ გოგლიჩიძის მეთაურობით მოწაფეთაგან მგალობელთა გუნდი იყო ჩამოყალიბებული. მათი უმრავლესობა ლიტერატურული წრის წევრები იყო. მათ შორის გამოირჩეოდნენ: იოსებ ჯულაშვილი, სოსო ირემაშვილი და სანდრო კავსაძე. პეტრე ადამაშვილი გვიამბობს:

„სოსო (ჯულაშვილი) შესანიშნავად გალობდა. განსაკუთრებით აუწერელ შთაბეჭდილებას სტოვდა იგი ტრიოში. თითონ პირველი დისკანტი იყო, სოსო ირემაშვილი ალტი, ხოლო სანდრო კავსაძე ბარიტონი.“¹¹)

იოსებ ჯულაშვილის ინიციატივით ჯგუფმა ხელისუფლებისგან მიიღო ნებაართვა საერთო ხასიათის სიმღერების შესრულებისა. „სოსოს ხელმძღვანელობით, — სწერს სიმონ გოგლიჩიძე, — უფალო დაღად გყავ შენდამი“ და „ღმერთი და უფალი გამოგვიჩნდა ჩვენ“ — ის მაგიერ ყველას ყურებს ატკობდა სოსოს მოხდენილი ქართული ტკბილი სიმღერა: „ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ ბარათაშვილსა“, „კურდღელი ჩამოცანცალდა ფეხმოტეხილი საწყალი“, „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო“, „შენ ჩემო და ღორო“, „საგორისა მინდორზედა“, „თეთრი გოგო მიგოგავდა“ და სხვა. ამ სიმღერებს ასრულებდა სოსოსთან ერთად მისი ჯგუფი. ეს სიმღერები და სხვებიც მოთავსებული იყო კომპოზიტორ ანდრია ბენაშვილის საეკლესიო კრებულში. და ვფიქრობ სოსო ამით სარგებლობდა.“¹²)

ლიტერატურული წრე, როცა რაიმე საღამოს მოაწყობდა, ეს საღამო მათ აუცილებლად საკონცერტო ნომრებით უნდა დაესრულებინათ. ხშირად კი წრე მარტო მუსიკალურ კონცერტებს მართავდა.

როცა იოსებ ჯულაშვილმა და მისმა რამდენიმე ამხანაგმა გორის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძეს სწავლა, მათ ურთიერთობა გორის სასულიერო სასწავლებლის ლიტერატურულ წრესთან არ შეუცვლიათ. ისინი კვლავ განაგრძობდნენ საღამოებსა და კონცერტებში მონაწილეობას.

ალექსანდრე ციხითათრიშვილი ამხანაგ სტალინზე დაწერილ მოგონებაში ამის გამო შემდეგსა სწერს:

„გორის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ სოსო სემინარიაში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ სოსოს გორელ ამხანაგებთან კავშირი არ შეუწყვეტია, ვგონებ 1896 წელს უნდა ყოფილიყო: ერთხელ სანდრო კავსაძე ეწვია გორს თავისი ახლადშედგენილი გუნდით. მის კონცერტს აუარებელი ხალხი დაესწრო.“

¹⁰. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 130.

¹¹. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 292.

¹². მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34 საქმე № 130.

ადგილობრივმა ძალებმაც გადაწყვიტეთ, რომ პატარა გუნდი ჩვენც შევ-
ვედგინა. შევიკრიბენით გორში დარჩენილი და არდადეგებზე მოსული ამხანა-
გები, მათ შორის სოსოც იყო და სიტყვა საქმედ იქცა.

ლოტბარად ავირჩიეთ გიგა ხუციშვილი, შევამზადეთ საუკეთესოდ სიმლე-
რები. რეპერტუარში შედიოდა: „ჩაეუხტეთ და ჩაეუხტეთ“, „წარვედ წყლის
პირსა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „მგზავრები“, „ჩუხჩუხითა“, „მიდის
გემი, ჩქარა ჩასხედით“, „რატილისა“ და სხვანი:

პირველ კონცერტი გორში ვერ გაგზედეთ, ვინაიდან სანდრო კავსაძის ში-
ერ დატოვებული შთაბეჭდილების გაქარწყლება არც ისე ადვილი იყო. სამა-
გიეროდ ჩვენ ამოვარჩიეთ ცხინვალი, სადაც უნდა გვეცადნა ჩვენი ნიჭი და
და უნარიანობა.

დილის 10 საათი იქნებოდა, უკვე ცხინვალში ვიყავით. აქ დაგვხვდა ჩვენი
გულითადი ამხანაგი ვასო ხახანაშვილი, შემდეგ ვინახულეთ დათა მაქავარიანი
და სხვები. მაჭავარიანმა მასპინძლობა გაგვიწია სამ ამხანაგს, რომელლებთანაც
ძალიან დაახლოვებული იყო, სახელდობრ მე, სოსოს, და კოტე ჩუტკერაშვილს.
წაგვიყვანა სოფ. დვერისში, სადაც კარგად ვისიამოვნეთ, დავისვენეთ.

მეორე დღეს ცხინვალს ვესტუმრეთ და ჩვენი კონცერტით გავახარეთ დამს-
წრე საზოგადოება. დიდი იყო აღრვთოვანება, დიდი იყო აქეთ-იქით წვევა,
რომ სტუმრობა გაჩაღებულლიყო, მაგრამ სოსოს ამხანაგებით არ ეცალათ და
დავბრუნდით.“¹³)

ორიოდე კვირის შემდეგ ჯგუფმა მორიგი კონცერტი სურამში მოაწყო.
კონცერტში მონაწილეობდნენ: სოსო ჯულაშვილი, დათა სალარიძე, არჩილ ბე-
გოიძე და სხვები.

¹³ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ფონდი 34, საქმე № 298.

ქალაქ გორის ისტორია

მოკლე მიმოხილვა

გორი სამშობლო ქალაქია ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისა**. აქ, ლარიზ მშრომელთა ოჯახში დაიბადა ის და აქ გაატარა ბავშვობის და ყრმობის წლები.

ქალაქ გორის საინტერესო ისტორია აქვს. იგი ერთერთი ძველთაგანი სამოსახლო ადგილია საქართველოში. ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი თავის შრომაში „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა“, გულისხმობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას: „.....არამედ არ არს უწყებული ვისით აღშენდა პირველ: განა ცხოვრებასა წერილ არს“ „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელ არს ოქროს მთა) და ჰყო საფლველად საგანძურთა“.

გორის კლდოვან სიმაღლესთან, სადაც ციხეა აშენებული, გადიოდა საქარავნო გზა, რომელიც ევროპას აზიასთან აკავშირებდა. მდინარე მტკვარზე, რომელიც კლდოვან ბორცვს ჩაუდის, ნაოსნობა არსებობდა. ამ პირობებში ციხეს საკმაო მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გემების დასაცავად.

ისტორიკოსი ვახუშტი გულისხმობს VII საუკუნის დასაწყისის ამბებს, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ საქართველო დაიპყრო და ხსენებული ციხე სამხედრო ნადავლის საწყობად აქცია.

ციხის ირგვლივ ადგილი უფრო ადრე უნდა ყოფილიყო დასახლებული, რასაც ამტკიცებენ აქ ნაპოვნი ძველი ფულები: ბრინჯაოს ნივთები და თიხის ჭურჭელი (III-საუკუნე ჩვენს წელთ აღრიცხვამდე).

ისტორიკოს ვახუშტის მიერ სიტყვა „ტონთიოს“ განმარტება, ვითომდა იგი „ოქროს მთას“ ნიშნავდეს, სწორი არ არის. ნამდვილად სახელწოდება ქართული სიტყვა „ტინი“-საგანაა, რაც კლდესა ნიშნავს. ბორცვისა და მასზე აგებული ციხის სახელი „ტონთა“ (კლდოვანი მთა) უნდა ყოფილიყო. გორის მიდამოებში დღევამდღემდე შერჩენილი მთელი რიგი მინაგვარი სახელებისა, როგორც მაგალითად სოფლები „ატენი“ და „ტინისხიდი“, მდინარე „ტანა“.

სახელწოდება ქალაქისა „გორი“ უფრო გვიანია და გამოწვეულია აგრეთვე კლდოვანი ბორცვის თანაპოვნეობით — „გორა“, „გორაკი“. ვახუშტი „ლეონრაფიანი“ სწერს: „ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდესა ზედა“.

მე-12 საუკუნეში საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის დროს, საქართველოს მეურნეობისა და კულტურის აყვავების ხანაში, ციხის ირგვლივ ქა-

ლაქი გაშენდა; მას საკმარად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის, როგორც ვაჭრობა - ხელოსნობის ერთ-ერთ საგულისხმო ცენტრს.

მე-13 საუკუნიდან განახლდა უცხო დამპყრობელთა შემოსევანი საქართველოზე. დაიწყო საქართველოს ეკონომიური დაცემა, გაერთიანებული სახელმწიფოს თანდათანობით დაშლა. დაიწყო ქართველი ხალხის მრავალ-საუკუნოებრივი ბრძოლა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ.

ქალაქ გორის ისტორია ამ ბრძოლებში ურყევად დაკავშირებული იმ მძიმე ამბებთან, რაც წარსულში ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა განიცადა.

მე-13 საუკუნეში გორი აოხრებულ იქნა ჯალალ-ედინის მიერ. გორში ბატონობდნენ მონღოლები. მე-14 საუკუნის დამლევეს გორი კვლავ აოხრებული იქნა ლანგთემურის მიერ.

უცხოელთა ბატონობას ერთოდა ქართლის ფეოდალთა მიერ მშრომელი ხალხის ჩაგვრა. ამ ფეოდალთაგან განსაკუთრებულად განირჩეოდნენ გორის ფეოდალებში ამილახვრები, რომლებიც მე-15 საუკუნის დამდეგიდან ფლობდნენ გორს. მათვე შთამამავლობით ეკუთვნოდათ გორის მოურავის ადმინისტრაციული თანამდებობა.

მე-16-17 საუკუნეებში საქართველო ირანისა და თურქეთის ურთიერთობის ქიშპობისა და შემოსევათა ასპარეზით იყო გადაქცეული.

ამ ხანებში ქალაქი გორი ქართლის სამეფოს ერთერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და არაერთხელ გახდა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზად.

გორის მცხოვრებნი, ისე როგორც მთელი ქართველი ხალხი, მუდმივ წინააღმდეგობას უწევდნენ გარეშე მტრების — ირანისა და თურქეთის ურიცხვ ძალებს. ხალხს ამ ბრძოლებში სახელოვანი მეთაურები ყავდათ, როგორც იყო მეფე ლუარსაბ I-ლი (იგი ირანელებთან ბრძოლის დროს გორის მოამბოებში დაიღუპა). მისი შვილი მეფე სვიმონ I ჯერ ირანელებს ებრძოდა, შემდეგ თურქებს. მან თურქებს წაართვა გორის ციხე ცხრა თვის ალყის შემდეგ (1599 წ.). სვიმონ I თურქების ტყვეობაში მოკვდა და სტამბოლიდან მისი გვამი გორელმა ვაჭარმა დიაკენისშვილმა ჩამოიტანა. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში გორი ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად ითვლებოდა, რადგან ტიფლისი უცხოელთა ხელში იყო. არანაკლები ბრძოლები ჩაუტარებია გორის ირგვლივ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ სახელოვან სარდალს გიორგი სააკაძეს.

გორის ციხე საგრძნობ სიმაგრეს წარმოადგენდა და ამიტომ იყო, რომ უცხოელნი სჯდილობდნენ მის დაკავებას.

1633 წელს ქართლის მეფე როსტომ I განახლა ომების დროს დანგრეული გორის ციხე. განახლებული ციხე დახატული აქვს კათოლიკე მისიონერს ქრისტეფორე კასტელის, რომელიც იმ ხანებში გორში იყო.

გორი ცნობილია, როგორც კათოლიკობის გავრცელების ერთერთი ცენტრი საქართველოში. მე-15 საუკუნიდან აქ გვხვდება კვალი რომის პაპის მიერ გამოგზავნილ მისიონერთა, რომლებიც არსებითად იტალიის სავაჭრო კაპიტალის აგენტები იყვნენ ახალი ბაზრების მოსაპოვებლად.

ამ მისიონერების მოხსენებებში რომის პაპის მიმართ მრავალი ცნობებია გორის ცხოვრებაზე.

ევროპელ მოგზაურთაც აქვთ ცნობები გორზე. ასეთი ცნობა აქვს მაგალითად, ამბროჯიო კონტარინის, ვენეციის ელჩს ირანის ტახტთან, რომელიც

მე-15 საუკ. მეორე ნახევარში საქართველოზე მოგზაურობის დროს გორში შეჩერდა; მას თავის სამგზავრო წიგნში მოკლედ აღნიშნული აქვს ცნობები გორის შესახებ.

უფრო დაწვრილებით აწერილი აქვს გორი ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს (მე-17 საუკ. მეორე ნახევარი).

მე-16-17 საუკუნეთა განმავლობაში ქართლის სამეფომ დიდი გაქირვება განიცადა. ხალხი გმინავდა უცხოელ დამპყრობელთა და საკუთარი ფეოდალების ჩაგვრის ქვეშ. მოსახლეობის მონობაში გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ საქმეს აწარმოებდნენ ქართველი დიდებულნი, ქართლში მდგომი ირანელთა და თურქთა გარნიზონები და აგრეთვე მთიელი-ლეკები, რომლებიც მუდმივ არბევდნენ ქართლის ქალაქებს და სოფლებს.

მიუხედავად მრავალი უბედურებისა ქართველმა ხალხმა ამ ხანის უმძიმეს პირობებშიც კი შესძლო თავისი კულტურის შენარჩუნება და გაამდიდრა იგი ახალი მიღწევებით.

ქალაქ გორს მაინც შენარჩუნებული ჰქონდა სავაჭრო მნიშვნელობა და მისი მოსახლეობა მტრის თარეშის დროსაც-კი ცდილობდა არ დაეკარგა თავისი სახე და კულტურა.

მე-18 საუკუნის დასაწყისს ქართლი ირანის ხელში იყო, მაგრამ შემდეგ თურქებმა თორმეტი წლით დაიპყრეს იგი. თურქები გაძევებული იქნენ ვაძლიერებულ ირანელთა მიერ. ამ ხანებში ცნობილი იყო გორის მოურავი გივი ამილახვარი. მრავალი სიმწარე ნახა ქალაქმა გორმა მის დროს, რადგან მოძლიერებული ფეოდალი მუდმივ ბრძოლებს უმართავდა ქართლის ტერიტორიაზე ქართლის მეფე თეიმურაზ II და მის შვილს ერეკლეს და ირანელ-თურქებსაც. დაბოლოს იგი ირანის შაჰის ნადირის მიერ ქართლის ვეჟილად (შაჰის მოადგილედ) იქნა დანიშნული და დაევალა ქართლელთაგან ირანის სასარგებლოდ გადასახადებისა და ხარკის შეგროვება. მან ეს საქმე დიდის სისასტიკით აწარმოვა და ამ ნიჟღაგზე გორის მიდამოებში გლეხთა აჯანყება მოხდა.

ირანის ძლიერების შესუსტების გამო 1747 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II გადაუდგა ირანს და შეუდგა ქართლიდან ირანის გარნიზონების განდევნას. რიგი მიდგა გორის გარნიზონზე, რომელიც ავღანელებისაგან შესდგებოდა. თეიმურაზმა ციხეს ალყა შემოარტყა საჩქაროდ შეგროვილი ლაშქრით, რომელიც ნახევრად მშვიერი ყმა-გლეხებისაგან შესდგებოდა. ბრძოლის შიშით მცხოვრებნი ქალაქიდან გაიხიზნენ. ზოგი გაიქცა, ზოგმაც ციხეს შეაფარა თავი. თეიმურაზმა ავღანელებს დამორჩილების წინადადება მისცა, რაზედაც უარი მიიღო. ამ მოლაპარაკების დროს თეიმურაზის ჯარი, შეტადრე ქსნის ხეობებით, შეესივნენ გორის მცხოვრებთა სახლებს და დაარბიეს მთელი გორი, ეკლესიებითურთ. ჯარი დაიშალა და შერცხვენილი თეიმურაზი იძულებული გახდა ციხის აღებაზე ხელი აეღო. შემდეგ ავღანელები თავის ნებით წავიდნენ გორიდან.

მეფე ერეკლე მეორემ გააერთიანა ქართლ-კახეთი. მას სურდა სახელმწიფოს განმტკიცება-გაძლიერება და ამ მიზნით შემოიღო მთელი რიგი რეფორმები. ეს რეფორმები ზღუდავდნენ ცალკეული ფეოდალების ეკონომიურ ინტერესებს. ამ რეფორმებით უკმაყოფილო გორის ფეოდალმა ალექსანდრე ამილახვარმა ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. შეთქმულების ბუდე გორი იყო. ერეკლემ გაიგო შეთქმულების ამბავი, სასწრაფოდ ჩავიდა გორში,

შეიპყრო შეთქმულნი და სასტიკად დასაჯა. თვით ალექსანდრე ამილახორი ნიკედილს გადაურჩა, მაგრამ ცხვირი-კი მოსჭრეს. იგი რუსეთს გადაიხვეწა, სადაც გამოსცა ერეკლეს წინააღმდეგ მიმართული პამფლეტი.

1795 წელს, როდესაც ტფილისი ალა-მაჰმად-ხანმა გაანადგურა, მისი ჯარი გორამდე ავიდა. გორი გადურჩა დარბევასა და აოხრებას, რადგან ერეკლე მეფის წინააღმდეგობის შიშით ალა-მაჰმად-ხანი ჩქარობდა ქართლიდან გასვლას და აღარ ეცალა გორისათვის.

საქართველოში რუსეთის მონარქიზმის დამკვიდრების დროს, მეფე გიორგი მე-13-ის სიკედილის შემდეგ, გორი კვლავ შეთქმულების ცენტრად გადაიქცა. შეთქმულებას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ტახტის პრეტენდენტი ბატონიშვილი იულონი და გორის მოურავი ოთარ ამილახვარი. შეთქმულება ლიკვიდირებული იქნა რუსეთის ჯარის დახმარებით.

საქართველოს რუსეთთან შემოერთების შემდეგ, 1801 წელს, გორი სამაზრო ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა. იქ დაბანაკდა რუსეთის ჯარი, რომელსაც დევალებული ჰქონდა რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის დამკვიდრება.

გორის მებატონეთა შორის ამ დროსაც განსაკუთრებით გამოორჩეოდნენ იგივე ამილახვარი, რომელთაც მაზრის დიდი ნაწილი ეკუთნოდა და რომელნიც თვით ქალაქ გორშიც ფლობდნენ ადგილ-მამულებს. მოურავის თანამდებობის გაუქმებისა და მმართველობის ახალი სისტემის შემოღებისას უკანასკნელმა მოურავმა გიორგი ამილახვარმა მიიღო რუსეთის იმპერატორის „წყალობა“ — სტატსკი სოვეტნიკობა და მაზრის მარშლობა.

მე-18 საუკუნის და მე-19 საუკუნის დასაწყისს ქალაქი გორი აღწერილია ბევრი მოგზურის და ისტორიკოსის მიერ.

ვრცელი აღწერაა გორისა ვახუშტის „ლეოლრაფიულ აღწერაში საქართველოისა“ (მე-18 საუკ. პირველი ნახევარი). გორს მოკლედ აღწერს რუსი დიპლომატიური წარმომადგენელი, კაპიტანი იაზიკოვი და საკსონელი რეინგესი (მე-18 საუკ. მეორე ნახევარი) და სხვანი. მოგზაური ყიულ კლაპროტი დაწვრილებით აღწერს გორის ცხოვრებას (მე-19 საუკ. დამდეგი). 1816 წელს პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე დაწერილი წიგნი „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა“. წიგნის ავტორია გორელი ავთანდილ თუმანოვი, რომელიც პეტერბურგში სცოხვრობდა და საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილ დავითის (გიორგი მე-12-ის შვილის) მდივანი იყო. წიგნი მეტად საინტერესო შინაარსისაა და ბევრი ცნობაა მასში მოთავსებული გორის ცხოვრების შესახებ.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებიდან უკვე მრავალი ცნობებია გორის შესახებ ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში და პრესაში.

საქართველოში რუსეთის მონარქიზმის დამკვიდრებას მოჰყვა გლეხთა მრავალი აჯანყებანი იმდროის არსებული რეჟიმით უკმაყოფილების ნიადაგზე. განსაკუთრებით მძიმე იყო გაძვალტყავებული გლეხობისათვის რუსეთის ჯარის კვება და მომსახურება (1806 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, შემოყვანილ იქნა 26.000 ჯარისკაცი). მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში, კერძოდ გორის მაზრაში, ხასიათდება გლეხთა აჯანყებებით, აჯანყებათა ლიკვიდაცა ხდებოდა რუსეთის რეგულარული ჯარით და აგრეთვე ეგრეთწოდებული „მილიციით“, რომელიც ქართველი თავად-აზნაურთაგან

შესდგებოდა. აჯანყებებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღეს სამხრეთ-ოსეთში, რომელიც ადმინისტრაციულად გორის მაზრას ეკუთვნოდა. ოსეთის გლეხობამ ვერ აიტანა ახალი წესები, რომლის ძალით ისინი (ერეკლე მეფის დროს სახელმწიფო გლეხებად ჩათვლილნი, რაც ერთგვარ შეღავათიან პირობებს ჰქმნიდა მათთვის) კვლავ საბატონო გლეხებად გადააქციეს და დაუბრუნეს ძველ მებატონეებს — მაჩაბლებს, ერისთავებს და ამილახვრებს. თავისუფლების მოყვარული ხალხი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მებატონეებს და მათ მფარველ რუსეთის ჯარსა და „მილიციას“. ამ აჯანყებების დროს დამსჯელმა რაზმებმა დაარბიეს და გადასწვეს მრავალი სოფელი. მრავალი გმირი დაიღუპა ამ უმაგალითო ბრძოლაში. მათ შორის აღსანიშნავია აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, გლეხი პაპა ცხოვრებაშვილი, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა მშრომელი გლეხობის ინტერესების დასაცავად. ტყვედ ჩავარდნილი, იგი ცხინვალში ჩამოახრჩეს. მისი ექვსი ამხანაგი ასევე დასაჯეს ოსეთის სხვადასხვა ადგილას.

ქ. გორის ეკონომიური ცხოვრება გამოცოცხლდა ამიერ კავკასიაში საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი საქონლის ეგრეთწოდებული „შელავათიანი ტრანზიტის“ შემოღების დროს (1822—1831 წ. წ.). გორი „შელავათიანი ტრანზიტის“ საქარავნო გზაზე მდებარეობდა და გორის ვაჭრებმა მართლაც კარგად ისარგებლეს. შეღავათის გაუქმების შემდეგ კი კრიზისი ჩამოვარდა და ვაჭრობა დაეცა. ბევრი გორელი ვაჭარი გაკოტრდა იმ ხანებში. ძალა მხოლოდ რამდენიმე ბობოლამ შეინარჩუნა. ესენი იყვნენ გორის ვაჭრობის მონოპოლისტები.

თანდათან იზრდებოდა ქ. გორის მოსახლეობის რიცხვი. 1806 წელს გორში 1.114 სული მცხოვრები იყო, 1865 წელს 5.000 სული, 1897 წელს კი—10.457 სული. 1914 — 1918 წლის იმპერიალისტური ომის დროს მცხოვრებთა რიცხვმა 18.000 სულს მიაღწია, მაგრამ 1920 წელს მიწისძვრის შემდეგ მხოლოდ 5.000 სული დარჩა.

ფოთი-ტფილისის რკინისგზის გაყვანის შემდეგ (1871 წ.) ქ. გორის პირველ ხანებში ეკონომიურად დაქვეითდა, რადგან მას დაეკარგა მნიშვნელობა, როგორც სატრანზიტო პუნქტს საქარავნო გზაზე. მაგრამ შემდგომში იგი გადაიქცა ერთერთ მნიშვნელოვან პუნქტად ხორბლეულის, ხილისა და ბოსტნეულის გატანაში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალაქ გორს მრავალი კულტურული ძალა და სახელმწიფო მოღვაწე მიუცია საქართველოსათვის. გორელი იყო ცნობილი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი. გორიდან წარმოიშვა ქართული თეატრის განმაახლებელი დრამატურგი გიორგი ერისთავი, მისი დასის მსახიობნი გიორგი დვანაძე და სხვანი. გორელები იყვნენ აგრეთვე პოეტი-დიპლომატი ფეშანგი ხითარიშვილი — ფაშვიბერტყაძე (მე-17 საუკ.), პოეტი სტეფანე ფერშანგოვი (მე-18 — 19 საუკ.), ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (მე-17 საუკ.). გორის ვაჭართა წრიდან მრავლად გამოსულან ქართლის მეფეთა მდივნები. გორელებს მონაწილეობა მიუღიათ ქართლის სამეფოს სხვადასხვა დიპლომატიურ მისიებში.

ფრიად საინტერესოა და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს ქ. გორის მნიშვნელობა, როგორც ხალხოსნური მოძრაობის ცენტრისა. გორში და მის მაზრაში მე-19 საუკ. სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ფართო ხასიათი მიიღო ამ მოძრაობამ, სოფ. ტყვიავეში მოწყობილი იყო არალეგალური სტამბა. ცნო-

ბილი არიან გორში ხალხოსნური მოძრაობის მოთავენი და მონაწილენი-მწერ-
ლები და პუბლიცისტები: ე. იოსელიანი, მ. ყიფიანი, ა. ფურცელაძე, ს. მგა-
ლობლიშვილი, ა. გარსევანიშვილი, ლ. რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა), და
სხვანი

კარიზმის აგრარული რეფორმის — „გლეხთა განთავისუფლების“ შედეგად
გორის მაზრაში, ისევე, როგორც ყველგან საქათველოში, მეტად მძიმე მდგო-
მარეობა შეიქნა, მაზრაში უმიწაწყლოდ დარჩა გლეხობის საკრძობი ნაწილი.
ღარიბი გლეხობა კვლავ მებატონეთა და მოვახშეთა ხელში დარჩა. ამ მდგომა-
რეობამ მთავარი როლი ითამაშა გლეხთა მოძრაობის დაწყებაში. კვლავ დაიწ-
ყო გლეხთა გამოსვლები, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა მეცხრამეტე საუ-
კუნის მიწურულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში. დაიწყო მუშათა მოძრაო-
ბაც. 1902 წელს გორში დაარსდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა
პარტიის ორგანიზაცია, რომლის „ისკრელთა“ ჯგუფი (ს. ალიმბარაშვილი,
გ. ელისაბედაშვილი და სხვ.) ხელმძღვანელობდა რევოლუციურ ბრძოლებს.

რევოლუციურმა გამოსვლებმა მაზრაში მასობრივი ხასიათი მიიღო 1905
წლის რევოლუციის პერიოდში. მაზრაში შეიქმნა გლეხთა შეიარაღებული რე-
ვოლუციური ძალა — წითელი რაზმები. თვით გორში 1905 წლის 14 მარტს
მოეწყო დიდი დემონსტრაცია წითელი დროშებით. მოხდა შეტაკება პოლიციას-
თან. იყო დაჭრილები და დახოცილები.

რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად რეაქციამ მოაწყო თავადაზნაურ-
თა „შავი რაზმი“. რაზმის ორგანიზატორი იყო გიორგი ამილახვარი, იმ გვარე-
ულობის წევრი, რომელიც ხუთასი წლის განმავლობაში სასტიკად სჩავრავდა
ქართლის მშრომელ გლეხობას. იყო აგრეთვე რევოლუციური ჯარისგან შემდგა-
რი დამსჯელი რაზმი პოლკოვნიკ ალფტანის მეთაურობით.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის მაზრაში განსაკუთრებით გამწვავებულნი
იყო კლასობრივი ბრძოლა. ეს აიხსნება მსხვილ მებატონეთა და მოვახშეთა არ-
სებობით, რომელნიც მშრომელი ხალხის სასტიკ ექსპლოატაციას ეწეოდნენ,
ზოლო გლეხობა გადატაკებული იყო. რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე
უდაოდ გავლენას ახდენდა რკინიგზის პროლეტარიატის კადრის არსებობა მაზ-
რაში (ხაშურში), რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა 1905 წლის კლას-
ობრივ ბრძოლებში.

გორში და გორის მაზრაში რევოლუციურ ბრძოლების ხელმძღვანელნი
იყვნენ დიდი სტალინის მოწაფენი. ქართლის მუშები და გლეხები მიჰყვე-
ბოდნენ სტალინის მტკიცე ბოლშევიკურ გზას, შეიარაღებულ ბრძოლას
კარიზმის დასამხობად.

სტალინის რეაქციის დროს ქალაქ გორში და მაზრაში რევოლუციური
ბრძოლა არ ჩამქრალა. ისტორია აღნიშნავს ბრძოლის მრავალ ფაქტს პოლიცი-
ელების, მევახშეებისა და მებატონების წინააღმდეგ.

1976 წლიდან ქ. გორში არსებობდა ქალაქის თვითმმართველობა, რომე-
ლიც სულს ლაფავდა. მისი ბიუჯეტი მუდამ დეფიციტური იყო. ქალაქში მოკ-
ლებული იყო კეთილმოწყობის ელემენტარულ პირობებს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გორში თავი წამოჰყვეს წვრილ-ბურჟუ-
აზიულმა კონტრევილუციურმა პარტიებმა: მენშევიკებმა და სხვებმა.

გორში არსებული არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია მუშაობას
აწარმოებდა ჯარში, რის შედეგად 1918 წელს მოხდა მე-4 ქართული პოლ-

კის გამოსვლა, ქალაქში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. აჯანყება ჩაქრობილ იქნ მენშევიკური გვარდიის მიერ. გორის მაზრის მშრომელთა ბრძოლა კონტრრევოლუციური მენშევიკების წინააღმდეგ შემდეგშიაღ შმაფრად სწარმოებდა.

მენშევიკური პერიოდი ქ. გორში ეკონომიური რეგრესიის პერიოდად უნდა ჩაითვალოს. მდგომარეობა გაუარესდა კიდევ იმით, რომ 1920 წელს ქ. გორს და მის ირგვლივმდებარე სოფლებს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება — მიწისძვრა. დაინგრა თითქმის მთელი ქალაქი. საგრძნობლად დაზიანდა მშვენიერი არქიტექტურული ძეგლი, გორის ციხე.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო დანგრეული გაპარტახებული ქალაქი.

დღეს-კი ქალაქი გორი არის საბჭოთა საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი ეკონომიური და კულტურული ცენტრი. ჩვენი პარტიისა, და პირადად ქართველი ხალხის ღირსეული შვილის ამხანაგი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს განსაკუთრებული მზრუნველობის შედეგად ქალაქმა სრულიად ახალი სახე მიიღო. ქალაქის მთლიან გამშვენიერებასთან ერთად განხორციელდა ახალი მშენებლობები: კინო-თეატრი, დიდი სასტუმრო, განხორციელდა გორის მცხოვრებთა დიდი ხნის ოცნება — ხიდი მდინარე ლიახვზე. აშენდა თეატრისა და პედაგოგიური ინსტიტუტის შენობები და სხვ.

განსაკუთრებული მზრუნველობით არის დაცული ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ხალხთა ბელადის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბავშვობისა და სიყრმის წლებთან. სახლი, სადაც დაიბადა ბელადი, რომელიც იზიდავს უამრავ ექსკურსანტს, დაცულია მარმარილოს სვეტებიანი პავილიონით. აქვე გახსნილია გამოფენა — მუზეუმი, სადაც დაცულია მრავალი დოკუმენტი ხალხთა ბელადის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოღვაწეობის შესახებ.

ასეთივე სიყვარულითაა დაცული ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობაში ცალკე ოთახი და დოკუმენტები იმ პერიოდისა (1888-1894 წლები), როდესაც იქ სწავლობდა გენიალური ს ტ ა ლ ი ნ ი .

1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გაზეთის
უძველესი ნომერები

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 ზან.
ნახევარი წლით	9 „
ცალკე ნომერი	1 მ. 50 კ.

ბელოს მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეტის
რაიბიუროებში და სახელგამის ჰერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 18, მე-18 რაიონი.